

# **საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკის**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2015, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2015, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2015, №7

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2015, №7

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა

## ადმინისტრაციული განსჯადობა

### განჩინება

№ას-200-187-2014

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. ლ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის ბრძანების ბათილად ცნობის, სსიპ...-ის სახელობის თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და 2013 წლის თებერვლიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის – 1 550 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ლ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ლ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ლ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის ბრძანება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დ. ლ-ას სასარგებლოდ ყოველთვიურად დაეკისრა განაცდურის – 1550 ლარის ანაზღაურება (სამუშაო-

სავლო გადასახადის გათვალისწინებით) 2013 წლის თებერვლიდან 2013 წლის 25 ივლისამდე შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ლ-ას აქვს სკოლაში პედაგოგად (მათემატიკის მასწავლებლად) და სკოლის (თბილისის №... სკოლის, თბილისის №... საჯარო სკოლის) დირექტორად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება;

2005-2007 წლებში დ. ლ-ა ასრულებდა სსიპ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 25 ივლისის №543 ბრძანებით დ. ლ-ა რეგისტრირებულ იქნა სსიპ თბილისის №... სკოლის დირექტორად;

05.09.2007 წ. დაიდო შრომითი ხელშეკრულება №1 სსიპ №... საჯარო სკოლასა და არჩეულ სკოლის დირექტორ დ. ლ-ას შორის 6 წლის ვადით;

დ. ლ-ა მუდმივად იმალლებდა კვალიფიკაციას საქართველოში თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ტრენინგებსა თუ პროექტებში მონაწილეობით;

15.07.2012წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დ. ლ-ა დაასახელა 2012 წლის საუკეთესო დირექტორად და გადასცა მას ოქროს მედალი;

2012 წლის ივნისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 28 ივნისის №680 და 2012 წლის 16 ივლისის №711 ბრძანებების საფუძველზე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დაიწყო სსიპ ... სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება. აუდიტის შესწავლის პერიოდად განსაზღვრულ იქნა 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტის ჩატარების ვადად მიეთითა 28.06.2012წ.-11.07.2012წ. და 16.07.2012წ.-25.07.2012წ. (დაწყება-დასრულება);

აუდიტის მიზანი იყო სკოლის ეფექტური მართვისათვის კანონთან შესაბამისობის რისკების გამოვლენა და სათანადო რეკომენდაციების წარდგენა სკოლისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განხორციელდა სკოლის საქმიანობის აუდიტის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საკითხების შესწავლა: 1. ბიუჯეტის დამტკიცების კანონიერების შესწავლა; 2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესწავლა; 3. არასაბიუჯეტო შემოსავლების სახით მიღებული ფულადი სახსრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების შესწავლა; 4. სალაროსა და საბანკო ოპე-

რაციების წარმოების სისწორის შესწავლა; 5. საშტატო-საგანაკვეთო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისა და ხელფასის ფონდის ხარჯვის კანონიერების შესწავლა; 6. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონიერების შესწავლა; 7. დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვისა და მისი რეალობის შესწავლა; 8. მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობისა და აღრიცხვის კანონიერების შესწავლა; 9. დაწესებულებისათვის სარგებლობაში გადაცემული ან ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით მესამე პირებზე გაცემის კანონიერების შესწავლა; 10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსულ კორესპონდენციებში (№23/33151; 23.07.10წ.; №23/54111; 10.11.10წ.; №11529; 19.05.11წ.) დასმული საკითხების შესწავლა;

აუდიტის საფუძველზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შედგენილ იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც სკოლას გაეგზავნა 2012 წლის 17 ოქტომბრის №37832 წერილით, ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის მიზნით. სამინისტროში 2012 წლის 29 ოქტომბერს შევიდა აუდიტის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის მოსაზრებები ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით, რაც აისახა აუდიტის ანგარიშში. ანგარიშში ასევე დაფიქსირდა სკოლის მიერ შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა;

24.12.2012წ. შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეადგინა შიდა აუდიტორული ანგარიში, რომლის თანახმადაც, სკოლის საქმიანობის აუდიტის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოვლინდა სხვადასხვა დარღვევები. სკოლის აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევის თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით შიდა აუდიტორულ ანგარიშში მითითებულია მათთან დაკავშირებული რისკები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთან, თითოეული ფაქტი დანვრილებით არის განხილული შიდა აუდიტორული ანგარიშის ძირითად ტექსტში.

24.12.2012წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარედგინა შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული: საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის №... საჯარო სკოლისადმი წერილობითი გაფრთხილების მიცემა; ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის სკოლის დირექტო-

რის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვისა და განხილვის შედეგებთან დაკავშირებით სამინისტროში სათანადო ანგარიშის ერთი კვირის ვადაში წარდგენის დავალება; ამავე სკოლისათვის დარღვევების გამოსწორებისა და სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, ერთი თვის ვადაში, გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის წარდგენის დავალება; ვინაიდან, მიჩნეულ იქნა, რომ აუდიტის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობებში და დარღვევებში შეინიშნებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შემდგომში რეაგირებისათვის მასალების გადაგზავნა სამართალდამცავი ორგანოსათვის და სხვა;

17.01.2013წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოსცა №20 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ... სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემისა და სკოლის დირექტორის დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსადმი წარდგინებით მიმართვის შესახებ“.

აღნიშნული ბრძანებით: 1. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, ქ.თბილისის №... საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება; 2. დაევალა სკოლის სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვა და განხილვის შედეგებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სათანადო ანგარიშის წარდგენა ერთი კვირის ვადაში; 3. დაევალა სკოლას ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ დარღვევებზე სამინისტროში ინფორმაციის წარდგენა; ბრძანების დასასრულს, მისი მე-4 და მე-5 პუნქტებით, განმარტებულ იქნა ბრძანების გასაჩივრების წესი;

25.01.2012წ. შედგა №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო ორი საკითხი: 1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ შიდა აუდიტორულ ანგარიშში დაფიქსირებული დარღვევების განხილვა და სკოლის დირექტორ დ. ლ-ას ახსნა-განმარტების მოსმენა; 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 17 იანვრის №20 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორ დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;

სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის №1 ოქმის თანახ-

მად, სამეურვეო საბჭომ მიზანშეუწონლად მიიჩნია სკოლის დირექტორ დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ოქმის მიღების დღესვე, 2013 წლის 25 იანვარს გამოსცა №1/კ-33 ბრძანება ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძვლად მითითებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 25.01.2013წ. მოხსენებითი ბარათი, ხოლო სამართლებრივ საფუძვლად – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი;

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დ. ლ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას საფუძვლად დაედო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორული ანგარიშის საფუძველზე შედგენილი აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 25.01.2013წ. მოხსენებითი ბარათი და მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მართლზომიერებას, პალატამ დეტალურად გამოიკვლია შიდა აუდიტორულ ანგარიშში მოცემულ დარღვევათა ხასიათი, სიმძიმე, რათა განსაზღვრულიყო მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომის ადეკვატურობა გამოვლენილ დარღვევებთან.

სასამართლოს შეფასებით, მითითებული საკითხის კვლევისას შიდა აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორულ ანგარიშთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ასევე აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმაზე, რომელიც სამინისტროში წარდგენილ იქნა 28.11.2012წ. და სკოლის სამეურვეო საბჭოს 25.01.2013წ. სხდომის ოქმზე, რომელშიც მოცემული იყო სკოლის დირექტორის განმარტებები უკვე შემდგომში, სკოლის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შესახებ. სამეურვეო საბჭოს 25.01.2013წ. სხდომის ოქმით დგინდებოდა, რომ საბჭო დეტალურად გაეცნო დირექტორის მიერ მოთხოვნის შესაბამისად წარდგენილ დოკუმენტაციას, დეტალურად შეისწავლა სკოლის დირექტორის მიერ შიდა აუდიტის სამსახურისთვის 17.10.2012წ. წარდგენილი მოსაზრებები და 29.10.2012წ. წარდგენილი შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქალაქო გეგმა. გათვალისწინებით იმისა, რომ სამეურვეო საბჭომ 25.01.2013წ. სხდომაზე

მიზანშეუნონლად მიიჩნია სკოლის დირექტორის – დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, დასაბუთებულად იქნა მიჩნეული ვარაუდი მასზე, რომ სამეურვეო საბჭომ დოკუმენტურად დადასტურებულად მიიჩნია სკოლის დირექტორის განმარტებები შიდა აუდიტის ანგარიშით გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში.

პალატამ მიუთითა აუდიტორულ ანგარიშში გადმოცემულ სკოლის საქმიანობის მიმართულებებზე, გამოვლენილ დარღვევებზე, გაცემულ რეკომენდაციებსა და მათი გამოსწორების სამოქმედო გეგმაში ასახულ გარემოებებზე, ასევე დადგენილად ცნო, რომ გამოვლენილ დარღვევათაგან უმეტესი ნაწილი იყო გამოსწორებული და შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 24.12.2012წ. შედგენილი აუდიტორული ანგარიშით გამოვლენილი დარღვევების გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა ტექნიკური და პროცედურული ხასიათის დარღვევებს. ამასთან, გამოვლენილ დარღვევათა გარკვეული ნაწილი გამოსწორებულ იქნა უშუალოდ აუდიტის წარმოების პროცესში, დარღვევათა უმეტესი ნაწილი აღმოიფხვრა აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით შეთანხმებული რეკომენდაციების სამოქალაქო გეგმის წარდგენის ეტაპზე, ამავე ეტაპზე განისაზღვრა გამოსასწორებელი დარღვევების აღმოფხვრის სტრატეგია და ფაქტობრივად განხორციელების გეგმა. მოგვიანებით, უკვე სამეურვეო საბჭოს 25.01.2013წ. სხდომაზე სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს აცნობა სკოლის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შესახებ, რის შემდგომაც, სამეურვეო საბჭომ დეტალურად გამოიკვლია აუდიტის ანგარიშით გამოვლენილი თითოეული დარღვევა და მიზანშეუნონლად მიიჩნია სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზანშეუნონლად მიჩნევის შემდგომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იმავე დღესვე გამოსცა №1/კ-33 ბრძანება, სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, სადავო ბრძანება არ შეიცავდა მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება, არაადეკვატური იყო გამოვლენილ დარღვევებთან

და ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ დასაქმებულის უფლების დაცვის პრინციპებს. არ არსებობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 25.01.2013წ. ბრძანებით დ. ლ-ასათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის ხელფასი 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით შეადგენდა 1550 ლარს.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლით, „ევროპის სოციალური ქარტიის“ 4.4 მუხლით, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 22-ე მუხლით და განმარტა, რომ სამართლის მითითებული ნორმები იძლევა უალტერნატივო დასკვნის საშუალებას, სახელმწიფოს ვალდებულებაზე, მინიმალური სტანდარტებით დაიცვას დასაქმებულთა შრომის უფლება. პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებულ სახელმწიფოებრივ ნებაზე, დაამკვიდროს სოციალური სახელმწიფო, რაც პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლებისა და დასაქმებულის უფლების დაცვასთან.

შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, პალატამ განმარტა, რომ საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებთან (და შრომით დავებთან) მიმართებით, სპეციალურ კანონს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომლის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 25 ივლისის №543 ბრძანებით დ. ლ-ა რეგისტრირებულ იქნა სსიპ თბილისის №... სკოლის დირექტორად. 05.09.2007წ. დაიდო შრომითი ხელშეკრულება №1 სსიპ №... საჯარო სკოლასა და არჩეულ სკოლის დირექტორ დ. ლ-ას შორის, განსაზღვრული – 6 წლის ვადით; შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 25.07.2007 წელი, ხოლო მისი შეწყვეტის თარიღად – 25.07.2013 წელი.

პალატამ მიუთითა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველ პუნქტზე, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, 44-ე მუხლის პირველ პუნქტზე, 49-ე მუხლის პირველ, მე-6, 6<sup>1</sup> პუნქტებზე და განმარტა, რომ კანონი სამეურვეო საბჭოს ავალდებულებს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუ იგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში არ შეუწყვეტს სკოლის დირექტორს მინიჭებულ უფლებამოსილებას. დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო მოექცეს სამართლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი მიჰყავს საკითხის გადაწყვეტამდე. იგივე პრინციპი ვრცელდება სამინისტროს მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მით უფრო, რომ ამ უფლებამოსილების გამოყენებისას სამინისტრო არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს – საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ უკვე მიღებულ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

სასამართლოს განმარტებით, სადაო ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო, თუ ის მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული აქტი, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

მინისტრის სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას იმ გარემოებებზე, თუ რატომ არ გაიზიარა №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 25.01.2012წ. რიგგარეშე სხდომის ოქმში მითითებული დასაბუთებული დასკვნები აუდიტორულ ანგარიშში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

პალატამ მიუთითა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით სამეურვეო საბჭოსათვის მინიჭებულ უფლებამოსილებაზე, ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებაზე, გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სკოლის სამეურვეო საბჭომ თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოიკვლია დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი და სკოლის სამეურვეო საბჭოს 25.01.2012წ. რიგგარეშე სხდომაზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება – მიზანშეუწონლად მიიჩნია სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

პალატამ ასევე მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების არაერთ მიმართვაზე, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს წევრების მიმართვაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი, სადაც დაფიქსირებული იყო წინააღმდეგობრივი პოზიცია დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 15.07.2012წ. დ. ლ-ა დაასახელა 2012 წლის საუკეთესო დირექტორად და გადასცა მას ოქროს მედალი. საქმეში ასევე, წარმოდგენილი იყო არა ერთი სიგელი და სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებდა ქ.თბილისის №... საჯარო სკოლისა და მისი დირექტორის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობასა და მიღწევებს.

იმ პირობებში, როდესაც აუდიტორული ანგარიშით გამოვლენილი დარღვევების უმეტესი ნაწილი წარმოადგენდა ტექნიკური და პროცედურული ხასიათის დარღვევებს, რომელთაგან დიდი უმრავლესობა აღმოიფხვრა უშუალოდ აუდიტისა და აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით შეთანხმებული რეკომენდაციების სამოქალაქო გეგმის წარდგენის ეტაპზე და ამავე ეტაპზე განისაზღვრა დარღვევათა აღმოფხვრის კონკრე-

ტული სტრატეგია, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სამეურვეო საბჭომ დეტალურად გამოიკვლია გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალა და დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიზანშეუწონლად მიიჩნია სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ბრძანება სკოლის დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არ შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას, სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მოცემული დასკვნების უარყოფის თაობაზე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება, არაადეკვატური იყო გამოვლენილ დარღვევებთან და ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ დასაქმებულის უფლების დაცვის პრინციპებს. დირექტორის გათავისუფლებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადო შეფასება არ მისცა სკოლის სამეურვეო საბჭოს 25.01.2012წ. რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ასევე იმ გარემოებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დ. ლ-ა დაასახელა 2012 წლის საუკეთესო დირექტორად და გადასცა მას ოქროს მედალი, შეფასება არ მისცა სკოლის მიღწევებს, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს პოზიციებს და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება – სსიპ ...-ის სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

შრომის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით პალატამ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტით მოპასუხემ დასაქმებულს წაართვა შესაძლებლობა განეხორციელებინა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობა და მიეღო შესაბამისი შრომითი ანაზღაურება. შესაბამისად, მიყენებული ზიანი განისაზღვრებოდა მისი მიუღებელი ხელფასით გათავისუფლების დღიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ამდენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დ. ლ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2013 წლის თებერვლიდან 2013 წლის 25 ივლისამდე განაცდურის ყოველთვიურად 1550 ლარის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით).

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სკოლასა და დ. ლ-ას შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2013 წლის 25 ივლისს, აპელანტმა შეამცირა

მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი დასაბუთებით:

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია აუდიტორულ ანგარიშში მოცემულ გამოკვლევათა დეტალური შესწავლა, ასევე, ყურადღება გაამახვილა 2012 წლის 28 ნოემბრის სამოქმედო გეგმაზე, თუმცა საკითხის ამგვარი გამოკვლევა არასწორია, რადგანაც სასამართლო გასცდა აუდიტორული შემოწმების პერიოდს და დ.ლ-ას გათავისუფლების კანონიერების შემოწმება დაუკავშირა 2013 წლის 25 იანვრის მდგომარეობით სკოლაში არსებულ დარღვევებს. ამასთანავე, დირექტორის ვადამდე გათავისუფლების საკითხი ემყარებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტს, რომლის თანახმადაც, მინისტრი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, სასამართლომ კი, ამ საკითხთან მიმართებით იმსჯელა ამავე ნორმის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

გამოვლენილი დარღვევების მიმართ სასამართლომ განმარტა, რომ მათი ნაწილი წარმოადგენდა ტექნიკურ და პროცედურულ დარღვევებს, ნაწილი აუდიტორული შემოწმების ჩატარებისას გამოსწორდა, ნაწილი – სამოქმედო გეგმის წარდგენის ეტაპზე, რაც არასწორია, რადგანაც დარღვევები სასამართლოს აუდიტორული შემოწმების ეტაპზე უნდა შეეფასებინა და არა დარღვევის დაფიქსირების შემდეგ მისი გამოსწორების კუთხით.

ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, რადგანაც ბრძანების მიღების საფუძვლად მითითებულია შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც განსაზღვრულია, რომ აუდიტორულ ანგარიშში მოხსენებული დარღვევის საფუძველზე სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა სამინისტრო და მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში კასატორს ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეცა სადავო ბრძანება, რაც შეეხება დასაქმებულის გაფრთხილების გარეშე გათავისუფლების ფაქტს, დ.ლ-ასათვის გათავისუფლებამდე იყო ცნობილი სამინისტროს პოზიცია (17.01.2013 წ. №20 ბრძანება), შე-

საბამისად, სახეზე არაა სააპელაციო პალატის მიერ მითითებული საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. დასაბუთების კუთხით სადავო ბრძანება ასევე შეიცავს მითითებას სამართლის ნორმაზე – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-6 და 6<sup>1</sup> პუნქტებზე. სამეურვეო საბჭოს კანონი ცალსახად არ ათავისუფლებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებაზე, თუმცა ეს ვალდებულება არ შეიძლება გავრცელდეს მინისტრის ბრძანების მიმართაც და არ შეიძლება შეფასდეს სამინისტროს მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევად.

საყურადღებოა, რომ დასახელებული ნორმის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, სამინისტროს წარდგინებას დაინტერესებული პირი ასაჩივრებს სასამართლოში დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა 49-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტი, როდესაც აღნიშნა, რომ დირექტორის გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში სავალდებულოა წარდგინების ბრძანებაში მითითებული დარღვევების აღნიშვნა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე და 390-ე მუხლები, არასწორად გამოიყენა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი, „ევროპის სოციალური ქარტიის“ 4.4 მუხლი, შრომის კოდექსის 44-ე მუხლი, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, არასწორად დაეკისრა კასატორს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი, რომლის 6<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების დასაბუთება გააიგივა სამეურვეო საბჭოს ვალდებულებასთან, დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობდა აუდიტორული დასკვნა, რომელშიც აღწერილია დარღვევები, რაც მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა.

კასატორი ასევე არ დაეთანხმა გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებას, რომელიც ეძღვნება აუდიტორულ დასკვნა-

ში მითითებული გარემოებების კვლევას და აღნიშნა, რომ დ. ლ-ას გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა არა დაფიქსირებული დარღვევის გამოუსწორებლობა, არამედ ამ დარღვევების გამოვლენა აუდიტორული შემოწმების პერიოდში, რაც არასწორად არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინამდებარე დავის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2005-2007 წლებში, დ. ლ-ა ასრულებდა სსიპ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 25 ივლისის №543 ბრძანებით („საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორთა რეგისტრაციის თაობაზე“), დ. ლ-ა რეგისტრირებულ იქნა სსიპ თბილისის №... სკოლის დირექტორად;

2007 წლის 5 სექტემბერს დაიდო №1 შრომითი ხელშეკრულება სსიპ №... საჯარო სკოლასა და არჩეულ სკოლის დირექტორ დ. ლ-ას შორის 6 წლის ვადით;

2012 წლის ივნისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 28 ივნისის №680 და 2012 წლის 16 ივლისის №711 ბრძანებების საფუძველზე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დაიწყო სსიპ ...-ის სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება. შესწავლის პერიოდად განსაზღვრულ იქნა 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტის ჩატარების ვადად მიეთითა 28.06.2012წ.-11.07.2012წ. და 16.07.2012წ.-25.07.2012წ. (დაწყება-დასრულება);

აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეადგინა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, მასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის მიზნით, სკოლას გაეგზავნა 2012 წლის 17 ოქტომბრის №37832 წერილი, 2012 წლის 29 ოქტომბერს შევიდა №... საჯარო სკოლის მოსაზრებები ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით, რაც აისახა აუდიტის ანგარიშში. ანგარიშში ასევე, დაფიქსირდა შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქ-

მედო გეგმა;

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა 2012 წლის 24 დეკემბერს შეადგინა შიდა აუდიტორული ანგარიში, რომლის თანახმადაც, გამოვლენილი იყო სხვადასხვა სახის დარღვევები;

2012 წლის 24 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარედგინა შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული: საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის №... საჯარო სკოლისადმი წერილობითი გაფრთხილების მიცემა; ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის, სკოლის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვისა და განხილვის შედეგებთან დაკავშირებით სამინისტროში სათანადო ანგარიშის ერთი კვირის ვადაში წარდგენის დავალება და სხვა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2013 წლის 17 იანვარს გამოსცა №20 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ...-ის სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემისა და სკოლის დირექტორ დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსადმი წარდგინებით მიმართვის შესახებ“;

2012 წლის 25 იანვარს შედგა №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო ორი საკითხი: 1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ შიდა აუდიტორულ ანგარიშში დაფიქსირებული დარღვევების განხილვა და სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტების მოსმენა; 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 17 იანვრის №20 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორის, დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;

სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის №1 ოქმის თანახმად: „სამეურვეო საბჭომ იმსჯელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 17 იანვრის №20 ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნაზე სკოლის დირექტორ დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეურვეო საბჭო იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და მიზანშეუწონლად მიიჩნევს სკოლის დირექტორ დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. დ. ლ-ა ყოველთვის გამოირჩეო-

და როგორც კარგი მენეჯერი და მეურვე, №... სკოლა სწორედ მისი დირექტორობის დროს იქცა ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად მთელი საქართველოს მასშტაბით და მიგვაჩნია, რომ უსამართლობა იქნება ზემოთ ჩამოთვლილი წვრილმანი ხარვეზებისათვის (რაც ალბათ ნებისმიერ სკოლაში მოიძებნება) შეუწყდეს ღვანღმოსილ დირექტორს უფლებამოსილება... დაადგინეს: 1. სამეურვეო საბჭომ მიზანშეუწონლად მიიჩნია სკოლის დირექტორის, დ. ლ-ას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა...“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ოქმის მიღების დღესვე, 2013 წლის 25 იანვარს გამოსცა ბრძანება №1/კ-33 „სსიპ ... სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის დ. ლ-ას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“, რომლითაც ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება დ. ლ-ას;

ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძვლად მითითებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 იანვრის მოხსენებითი ბარათი, ხოლო სამართლებრივ საფუძვლად – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის ნ<sup>1</sup> პუნქტი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების ობიექტს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საჯარო სკოლის დირექტორის შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერება.

გასაჩივრებული ბრძანების გაუქმების სამართლებრივი დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით, სპეციალურ კანონს წარმოადგენს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული ნორმატიული აქტის 12.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წინამდებარე დავა სამოქალაქო სამართლის სფეროს განკუთვნილ დავას წარმოადგენდა, თუმცა ამ დასკვნის პარალელურად, სასამართლომ განმარტა შემდეგი: სადავო ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო, თუ ის მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში,

ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული აქტი, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზანშეუნონლად მიჩნევის შემდგომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იმავე დღესვე, 2013 წლის 25 იანვარს გამოსცა ბრძანება №1/კ-33, სსიპ ... სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის დ. ლ-ას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას იმ გარემოებებზე, თუ რატომ არ გაიზიარა სამინისტრომ №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ოქმში მითითებული დასაბუთებული დასკვნები აუდიტორულ ანგარიშში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებით, რომლებიც საფუძვლად დაედო სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც აუდიტორული ანგარიშით გამოვლენილი დარღვევების უმეტესი ნაწილი წარმოადგენდა ტექნიკური და პროცედურული ხასიათის დარღვევებს, რომელთაგან დიდი უმრავლესობა აღმოიფხვრა უშუალოდ აუდიტისა და აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით შეთანხმებული რეკომენდაციების სამოქალაქო გეგმის წარდგენის ეტაპზე და ამავე ეტაპზე განისაზღვრა დარღვევათა აღმოფხვრის კონკრეტული სტრატეგია, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სამეურვეო საბჭომ დეტალურად გამოიკვლია რა, გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალა და დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიზანშეუნონლად მიიჩნია სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ბრძა-

ნება სკოლის დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მოცემული დასკვნების უარყოფის თაობაზე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა არაადეკვატური იყო გამოვლენილ დარღვევებთან და ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ დასაქმებულის უფლების დაცვის პრინციპებს.

დასახელებული მსჯელობისა და საქმის მასალების გაანალიზების საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველსა და მე-2 ნაწილებში შემოთავაზებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვი-

სათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო პალატის შეფასებით, წინამდებარე დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს ბრძანების გამომცემი სუბიექტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევა სააპელაციო სასამართლომაც სწორად დაადგინა. საკასაციო პალატა განსახილველი დავის განსჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ სხვადასხვა მსგავს დავაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეში მსგავს საკითხზე განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის ვადამდე გათავისუფლების ბრძანება არ განეკუთვნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შრომით დავას, რომლის კანონიერებაც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა შეფასდეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც გამოიწვია მინისტრის ბრძანება, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამდენად, მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნით, ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ (იხ. სუსგ №ბზ-1217-1184(გ-10) 9 ნოემბერი, 2010 წელი).

სსიპ საჯარო სკოლის დირექტორის საქართველოს განათ-

ლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სამსახურიდან გათავისუფლების დავის განსჯადობის თაობაზე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე განმარტა, რომ საჯარო სკოლის დირექტორი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რამდენადაც ის არ აკმაყოფილებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, თუმცა საჯარო სკოლა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტისა და 31.1 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო დაწესებულებას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ გ.კ-ი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59.2 მუხლი, რამდენადაც მითითებული ნორმის თანახმად, „საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება გახდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ამავე კანონის შესაბამისად, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის – შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება, რამდენადაც მისი გათავისუფლების საკითხი, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ უნდა იქ-

ნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირის, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს; ასევეა, მესამე შემთხვევა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა, კერძოდ პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება, დაუშვებელია.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით (იხ.

სუსგ №ბს-1392-1329(გ-09), 3 ნომბერი, 2009 წელი).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. ლ-ას სააპელაციო საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის საკითხი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით უნდა განხორციელებულიყო და არასწორად არ გადაუგზავნა საქმე განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან დ. ლ-ას სარჩელი ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით განხილვას, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ხოლო, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

3. კასატორი სახელწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. პროცესის ხარჯები

### სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

#### განმარტება

№ას-954-916-2014

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 24 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ქ. ბათუმის მერიამ მოპასუხე ა. პ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 37681 ლარის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ა. პ-ს ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 37681 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. პ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;
4. ქ. ბათუმის მერიას ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1552 ლარისა და 45 თეთრის ანაზღაურება;
5. ქ. ბათუმის მერიას ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურებისათვის განუხლები ხარჯის – 1000 ლარის გადახდა.

2014 წლის 23 ივნისს სააპელაციო სასამართლოში განცხა-

დება შეიტანა ა. პ-მა და მოითხოვა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა.

განმცხადებლის განმარტებით, მან სასამართლოში წარადგინა მის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები და იშუამდგომლა, რომ მოსარჩელეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა შემდეგი ხარჯების ანაზღაურება:

- ა. იურიდიული მომსახურების ხარჯი – 2000 ლარი;
- ბ. ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯი (მათ შორის: 1-ლი ექსპერტიზისათვის – 100 ლარი და მე-2-ე ექსპერტიზისათვის – 240 ლარი);
- გ. ფაქტის კონსტატაციაზე განეული ხარჯი (100 ლარი);
- დ. სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1553 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით ა. პ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადანყვეტილება, თუ სასამართლოს არ დაუწყევტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილების გამოტანისას სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის მიერ სააპელაციო წარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და იურიდიული მომსახურებისთვის განეული ხარჯის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე და მიიღო შესაბამისი გადანყვეტილება, ამიტომ ამ ნაწილში დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ ა. პ-ის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

რაც შეეხებოდა სხვა ხარჯების საკითხს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნა ამ ნაწილშიც უსაფუძვლო იყო, რადგან აღნიშნულ საკითხზე მოთხოვნა აპელანტს სააპელაციო საჩივარში არ დაუყენებია და არც მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. პ-მა.

კერძო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ა. პ-ის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მან სასამართლოში წარადგინა მის

მიერ იურიდიული მომსახურების ხარჯის (2000 ლარი), ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯის (მათ შორის: 1-ლი ექსპერტიზისათვის – 100 ლარი და მე-2 ექსპერტიზისათვის – 240 ლარი), ფაქტის კონსტატაციაზე განეული ხარჯის (100 ლარი), აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის (1553 ლარი) გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები და იშუამდგომლა დასახელებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემონგების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ, კანონმდებელი სასამართლოს დამატებითი გადანყვეტილების უფლებამოსილებას ანიჭებს, თუ: ა. იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადანყვეტილება არ გამოტანილა; ბ. სასამართლოს, რომელმაც გადანყვეტიდა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ. სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის (გასაჩივრებული გადანყვეტილების გამოტანის დროს მოქმედი რედაქციით) პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება,

სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შეზღუდვისადაც შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს მოგებული მხარის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაღებული ხარჯების ნაგებული მხარისათვის დაკისრების წესს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ ზემოხსენებული წესი შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;
4. ბათუმის მერიას ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1552 ლარისა და 45 თეთრის გადახდა (სააპელაციო საჩივარზე ა. პ-ის მიერ გადახდილი ბაჟი);
5. ბათუმის მერიას ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა (ა. პ-ის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით იმსჯელა მოგებული მხარის (ა. პ-ის) მიერ სააპელაციო წარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ნაგებული მხარისათვის (ქ.ბათუმის მერიისათვის) დაკისრების საკითხზე და დააკისრა კიდევ ამ უკანასკნელს მითითებული ხარჯების აპელანტის სასარგებლოდ ანაზღაურება. მართალია, იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი აპელანტს ნაწილობრივ აუნაზღაურდა, მაგრამ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს არა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, არა-

მედ ძირითადი გადანყვეტილების ამ ნაწილზე საკასაციო საჩივრის შეტანის საფუძველს (იხ. სუსგ, 18.02.2014წ., საქმე №ას-1706-1600-2012). მოცემულ შემთხვევაში აპელანტს ამ უფლებით არ უსარგებლია, ანუ ადვოკატის ხარჯის არასრულად ანაზღაურების ნაწილში ძირითადი გადანყვეტილების წინააღმდეგ საკასაციო საჩივარი არ შეუტანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეტანა დამატებითი გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება ასევე კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე და ფაქტის კონსტატაციაზე განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. სპეციალურ საქსპერტო დანესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯი და სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე განეული ხარჯი წარმოადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 44-ე მუხლი). ასეთი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთან, ეს მტკიცებულებები სასამართლოს უნდა წარედგინოს გადანყვეტილების გამოტანამდე.

მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული ხარჯების განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები აპელანტს გადანყვეტილების გამოტანამდე სააპელაციო სასამართლოსათვის არ წარუდგენია და არც ამ ხარჯების დაკისრება მოუთხოვია მოწინააღმდეგე მხარისათვის. აპელანტმა მხოლოდ გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ წარდგენილ განცხადებას დაურთო ექსპერტიზის ჩატარებაზე ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მტკიცებულებები მისთვის მანამდეც ხელმისაწვდომი იყო. რაც შეეხება ფაქტის კონსტატაციაზე განეული ხარჯის დამადასტურებელ მტკიცებულებას, ასეთი საქმეში წარმოდგენილი არაა. აქედან გამომ-

დინარე, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს ვერ იმსჯელებდა ზემოხსენებული ხარჯების მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე და შესაბამისად, ვერც დამატებით გადაწყვეტილებას გამოიტანდა ამ ხარჯების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მესამე პირები

#### საკროცესო უზღუდამონაცვლოვა

##### განჩინება

№ას-309-296-2015

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

##### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ა-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ლ-ვასა და ზ. დ-  
იას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოპასუხე ლ. ლ-ვამ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის გა-  
დანწყვეტილებით ზ. ა-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-  
და: მოპასუხე ი.მ. ლ. ლ-ვას დაეკისრა ზ. ა-იას სასარგებლოდ  
7580.70 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტის ლარში გადახ-  
და.

საქალაქო სასამართლოს გადანწყვეტილება ნაწილობრივ სა-  
აპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ლ-ვამ და ზ. ა-იას უფლებამო-  
ნაცვლემ ა. გ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინებით ზ. ა-იას სარჩე-  
ლის გამო ლ. ლ-ვას მიმართ 2013 წლის ნოემბრის, დეკემბრის,  
2014 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივ-  
ნისისა და ივლისის თვეებში, ზ. ა-იას მიერ ლ. ლ-ვას ნაცვლად  
სს „...-ში“ გადახდილი 7580.70 აშშ დოლარის ლ. ლ-ვასთვის და-  
კისრების, ასევე აღნიშნული თანხიდან მიუღებელი შემოსავ-  
ლის სახით 3411 აშშ დოლარის და გადანწყვეტილების აღსრუ-  
ლებამდე ყოველთვიურად 379.03 აშშ დოლარის ლ. ლ-ვასთვის  
დაკისრების თაობაზე, ზ. ა-იას უფლებამონაცვლედ ცნობილ იქ-  
ნა ა. გ-ია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია  
შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 15 ივლისს ზ. ა-იამ სარჩელით მიმართა ფოტის

საქალაქო სასამართლოს ლ. ლ-ვას მიმართ და მოითხოვა 2013 წლის ნოემბრის, დეკემბრის, 2014 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში ზ. ა-იას მიერ, ლ. ლ-ვას ნაცვლად სს „...-ში“ გადახდილი 7580,70 აშშ დოლარის ლ. ლ-ვასთვის დაკისრება, ასევე აღნიშნული თანხიდან მიუღებელი შემოსავლის სახით 3411 აშშ დოლარისა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 379,032 აშშ დოლარის ლ. ლ-ვასთვის დაკისრება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის განწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ა-იას სარჩელი ი.მ. ლ. ლ-ვასა და ზ. დ-იას მიმართ თანხის დაკისრების შესახებ; ი.მ. ლ. ლ-ვას დაეკისრა ზ. ა-იას სასარგებლოდ 7580.70 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, სახელმწიფო ბაჟის 397.98 ლარისა და საადვოკატო მომსახურეობის საფასურის 760 ლარის გადახდა.

სააპელაციო საჩივარზე დართული მოთხოვნის დათმობის შეთანხმებით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველი სარჩელის ირგვლივ ლ. ლ-ვას მიმართ არსებული მოთხოვნა ზ. ა-იამ დაუთმო ა. გ-იას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე და 199-ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა ნათელი იყო და ზ. ა-იას უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა ა. გ-ია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. გ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა, რომელიც ადგენს, რომ უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

ზ. ა-იამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე 2014 წლის 6 ნოემბერს დააზუსტა თავისი ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ძირითადი სარჩელით მოთხოვნილ თანხებთან ერთად განხილულიყო და მოპასუხე ლ. ლ-ვას გადასახდელად დაკისრებოდა დაზუსტებული სარჩელით მოთხოვნილი თანხებიც – ძირითადი ვალი 3368 აშშ დოლარი, ამ თანხის მიუღებელი შემოსავალი 673,6 აშშ დოლარი, გადაწყვეტილების აღსრულებამდე 168 აშშ დოლარი ყოველთვიურად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაზუსტებული სარჩელი არ განიხილა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, ვინაიდან მოსარჩელე ზ. ა-იამ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა კანონით გათვალისწინებული ვადების სრული დაცვით, უფლებამონაცვლეობის ეტაპზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 2015 წლის 6 იანვრის შეთანხმებით სავალდებულოდ შესასრულებელი იყო 2014 წლის 6 ნოემბრის დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა, რაც შეადგენდა განსახილველი საქმის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელე ზ. ა-იას უფლებამონაცვლედ ა. გ-იას ცნობის საკითხის განხილვისას უნდა ემსჯელა არა მარტო ძირითადი სარჩელით მოთხოვნილი თანხების გადახდევინების ნაწილში, არამედ განჩინებით უნდა დაედგინა მისი უფლებამონაცვლეობა დაზუსტებული სარჩელით მოთხოვნილ თანხებზე. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მისი უფლებამონაცვლეობა ცნობილი უნდა ყოფილიყო ასევე საადვოკატო დანახარჯების 1240 ლარის მოთხოვნის ნაწილშიც.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ა-იას უფლებამონაცვლე ა. გ-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქმის განხილვისას, ისევე, როგორც მისი დასრულების შემდეგ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც დასაშვებია კანონით დადგენილ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის შეცვლა სხვა პირით. მოდავე მხარის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლის ჩაბმა დაკავშირებულია ამა თუ იმ საფუძვლით მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან მის გასვლასთან, რა დროსაც მხარე კარგავს და სხვა პირს გადასცემს თავის საპროცესო სტატუსს. ამგვარი საპროცესო უფლებამონაცვლეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლო უფლებამონაცვლეობასთან, კერძოდ, თუ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, იგი დასაშვებია პროცესუალურადაც. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეუზღუდავი არ არის და ხორციელდება კანონით დადგენილ ფარგლებში.

სხვა პირის უფლებამონაცვლედ დავაში ჩაბმულ მხარეს იგივე საპროცესო უფლებები და მოვალეობანი გააჩნია, რაც მის წინამორბედ პირს, რომლის მონაწილეობითაც მანამდე მიმდინარეობდა საქმის წარმოება. ამავდროულად, საქმის წარმოების პროცესში უფლებამონაცვლეობის დადგენამდე მხარედ ჩაბმული პირის მიერ განხორციელებული ყველა საპროცესო მოქმედება ძალაში რჩება უფლებამონაცვლის მიმართაც, ხოლო წინამორბედი მხარის მიერ შესრულებული მოქმედებები შესრულებულად ეთვლება უფლებამონაცვლესაც.

საკვსაცხო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლეობა ზემოაღნიშნულ კანონის დანაწესს შეესაბამება და მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაშვებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, ზ. ა-იას უფლებამონაცვლედ ა. გ-იას ცნობის დროს ჰქონდა თუ არა მოთხოვნის დათმობას ადგილი დაზუსტებული სარჩელით მითითებული მოთხოვნების ნაწილშიც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2014 წლის 15 აპრილს

ზ. ა-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ი.მ. ლ. ლ-ვასა და ზ. დ-იას მიმართ ძირითადი ვალის 7 580.70 აშშ დოლარის, მიუღებელი სარგებლის 3 411.27 დოლარის, სულ 10 991.97 აშშ დოლარის მოსარჩევეებისთვის დაკისრების მოთხოვნით.

2014 წლის 6 ნოემბერს ზ. ა-იამ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეებისათვის ძირითადი ვალის 10 946 აშშ დოლარისა და მიუღებელი სარგებლის 7 114.90 აშშ დოლარის, სულ 18 060.90 აშშ დოლარის დაკისრება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ზ. ა-იას უარი ეთქვა დაზუსტებული სარჩელის მიღებაზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ა-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ი.მ. ლ. ლ-ვას დაეკისრა ზ. ა-იას სასარგებლოდ 7 580.70 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის, სახელმწიფო ბაჟის 397.98 ლარისა და საადვოკატო მომსახურეობის საფასურის 760 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-იამ და სააპელაციო საჩივარზე თანდართული შეთანხმების საფუძველზე მოითხოვა ზ. ა-იას უფლებამონაცვლედ ცნობა. აპელანტმა ასევე სადავოდ გახადა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის განჩინება დაზუსტებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მოთხოვნის დათმობის თაობაზე შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ ზ. ა-იამ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში მოთხოვნა დაუთმო ადვოკატ ა. გ-იას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობა არის მოთხოვნის დათმობა. სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). ამრიგად, მოთხოვნის დათმობა შეიძლება მანამ, სანამ მოთხოვნა ჯერ კიდევ არსებობს და ვალდებულება არ არის შესრულებული მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი კი საპროცესო უფლებამონაცვლეობას ითვალისწინებს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედე-

ბა სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში ვინაიდან აპელანტმა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად (რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ა-იას სარჩელი) სადავოდ გახადა დაზუსტებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაც, სააპელაციო სასამართლოს ა. გ-იას უფლებამონაცვლეობის დადგენისას უნდა ემსჯელა, ჰქონდა თუ არა ადგილი მოთხოვნის დათმობას როგორც სარჩელში, ასევე დაზუსტებულ სარჩელში მითითებული მოთხოვნების ნაწილში.

რაც შეეხება მოთხოვნის დათმობის საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამონაცვლეობის შესახებ საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგან თანხის დათმობის თაობაზე სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრების უფლების შესახებ 2015 წლის 9 იანვრის შეთანხმებაში არ არის მითითება აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ა-იას უფლებამონაცვლე ა. გ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ა. გ-იას უარი ეთქვა ზ. ა-იას დაზუსტებულ სარჩელში მითითებული მოთხოვნების ნაწილში უფლებამონაცვლედ ცნობაზე და ამ ნაწილში საქმე უფლებამონაცვლეობის დადგენის სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. სასამართლო მტკიცებულება

### უაქტუაზი, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

#### ბანჩინება

№ას-144-137-2013

4 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა, ღობის მოშლა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთისა და ღობის მოშლის შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ქ.ნალკაში, ...-ის ქუჩის მიმდებარედ მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია მის სახელზე. აღნიშნული ნაკვეთიდან 363 კვ.მ ფაქტობრივად დაიკავა მოპასუხემ და შემოსაზღვრა ღობით, რითაც ირღვევა მ. ს-ის, როგორც მესაკუთრის უფლებები. მოპასუხეს უნდა აეკრძალოს სადავო ნაკვეთით სარგებლობა და დაევალოს საკუთარი ხარჯებით ღობის დემონტაჟი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობა, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლებით და იმავე დავის საგანზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით მ. ს-ს მიეთითა, სათანადო სამართალწარმოების გზით ედავა საჯარო რეესტრის მონაცემებში შესწორების შეტანის ან საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ, რაც მას არ შეუძლებია, შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლოა.

ნალკის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უძრავი ქონება – არასასოფლო-სამეურნეო დაწინაშელების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...), ა. ბ-ს აეკ-

რძალა ამ მიწის ნაკვეთზე მ. ს-ისათვის სარგებლობის ხელშეშლა, ასევე დადგინდა ა. ბ-ის ვალდებულება ღობის დემონტაჟის თაობაზე, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ს-ის საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მიწის ნაწილი იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის, მათ შორის, ა. ბ-ის სახელზე. მოპასუხე ა. ბ-ი ფლობს მოსარჩელე მ. ს-ის საკუთრებაში რიცხულ ფართს. ა. ბ-ს არ აქვს ამ ფართის ფლობის უფლება.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქ. წალკაში, შაუმიანის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1657 კვ.მ დაზუსტებული ფართით, საკუთრების უფლებით აღრიცხულია მ. ს-ის სახელზე. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 10 დეკემბერს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №3 მონმობა, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 2009 წლის 15 დეკემბერს.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. წალკაში, ...-ის ქუჩაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაუზუსტებელი ფართობით 880.00კვ.მ., საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. ბ-ის სახელზე. საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 2010 წლის 7 მაისს.

წალკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ს-ის სარჩელი მოპასუხე ა. ბ-ის მიმართ მიწის ნაკვეთის სხვა პირის მფლობელობიდან და სარგებლობიდან გამოთავისუფლებისა და მესაკუთრისათვის თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნების თაობაზე. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ წალკის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით მ. ს-ის საკუთრებად რიცხულ 1657 კვ.მ ნაკვეთისა (საკადასტრო კოდით ...) და ა. ბ-ის კუთვნილ 880 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით ... ფარ-

თობით 880 კვ.მ) საკადასტრო მონაცემებში არსებობდა ზედ-  
დება რეგისტრირებულ ნაკვეთთან.

წალკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ივლისის გა-  
დანწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ მ. ს-მა  
კვლავ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წალ-  
კის სარეგისტრაციო სამსახურს უძრავ ნივთებზე უფლებათა  
რეესტრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.

წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 21 ივლისის  
გადანწყვეტილებით მ. ს-ს ეცნობა, რომ მ. ს-ის და ა. ბ-ის მიწის  
ნაკვეთებს შორის რეგისტრირებულ მონაცემებში იყო ზედდე-  
ბა. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტი მ. ს-მა გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 9 აგ-  
ვისტოს გადანწყვეტილებით, მ. ს-ის 2011 წლის 1 აგვისტოს  
№127346/17 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა,  
წალკის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 21 ივლისის გა-  
დანწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და მისი მოქმედება შენ-  
ყდა ძალაში შესვლიდან. წალკის სარეგისტრაციო სამსახურს და-  
ევალა 2011 წლის 7 ივლისის №111454/17 განცხადებასთან და-  
კავშირებით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან გაეცა  
სრულყოფილი და ზუსტი საჯარო ინფორმაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წალკის სარეგის-  
ტრაციო სამსახურის 2011 წლის 26 აგვისტოს წერილით მ. ს-ს  
ეცნობა, რომ ქ. წალკაში, შაუმიანის ქუჩაზე მდებარე მ. ს-ის  
საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო და-  
ნიშნულების მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართი – 1675 კვ.მ  
საკადასტრო კოდი ...) ან მისი ნაწილი იმავდროულად არ იყო  
რეგისტრირებული სხვა პირის (მათ შორის ა. ბ-ის) სახელზე. ამას-  
თან, არც სარეგისტრაციო სამსახურში და არც ტექნიკური ინ-  
ვენტარიზაციის არქივში არ ინახებოდა რაიმე დოკუმენტი აღ-  
ნიშნულ მიწის ნაკვეთზე ა. ბ-ის უფლების დასადასტურებლად.  
უძრავ ნივთს საკადასტრო კოდით ... და ა. ბ-ის საკუთრებად  
რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის  
ნაკვეთებს (საკადასტრო კოდი №... და №...) შორის არ ფიქსირ-  
დებოდა ზედდება. განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ №...  
საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზ-  
ღვრები დაზუსტებულია სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდი-  
ნატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემაში  
და UTM პროექციაში, ხოლო №... საკადასტრო კოდით რეგის-  
ტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრები არ არის დაზუსტებუ-  
ლი (სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერ-

ძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემაში და UTM პროექციაში) და აღნიშნულ უძრავ ნივთზე უფლება არ არის რეგისტრირებული დაზუსტებული სახით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

წალკის სარეგისტრაციო სამსახურმა მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლითაც საკადასტრო მონაცემების ზედდება განმარტებულია, როგორც უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემების იდენტიფიკაცია უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან. შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურში არსებული მონაცემებით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე უფლება არ არის რეგისტრირებული და არაა დაზუსტებული მისი საკადასტრო მონაცემები, მიწის ნაკვეთებს შორის (№... და №...) ზედდება არ ფიქსირდება.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 აპრილის დასკვნით დგინდება, რომ ქ.წალკაში ...-ის ქუჩაზე მდებარე ა. ბ-ის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ ფარავს მ. ს-ის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით №... და გადაფარვის ფართი შეადგენს 363 კვ.მ-ს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავოდ არ გამხდარა, რომ აღნიშნული ფართი შემოსაზღვრულია ლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ მ. ს-ის საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მიწის ნაწილი იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის, მათ შორის, ა. ბ-ის სახელზე. მოპასუხე ა. ბ-ი ფლობს მოსარჩელე მ. ს-ის საკუთრებაში რიცხულ 363 კვ.მ-ს. ა. ბ-ს არ აქვს ამ ფართის ფლობის უფლება.

ამასთან, პალატის განმარტებით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 30 აპრილის დასკვნაში არსებული ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. წალკაში შაუმიანის ქუჩაზე მდებარე ა. ბ-ის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ ფარავს მ. ს-ის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, არ ნიშნავს ზედდებას „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის კონტექსტში, არამედ გულისხმობს უკანონოდ ფლობას სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1952 წლის 20 მარტის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით, 172-ე მუხლით, 312-ე მუხლის პირველი ნაწილით და მოცემულ შემთხვევაში დაადგინა, რომ მ. ს-ის საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მიწის ნაწილი (საკადასტრო კოდი №...) იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის, მათ შორის, ა. ბ-ის სახელზე. მოპასუხე ა. ბ-ი ფლობს მოსარჩელე მ. ს-ის საკუთრებაში რიცხულ 363 კვ.მ-ს, რომელიც შემოსაზღვრულია ლობით. ა. ბ-ს არ აქვს ამ ფართის ფლობის უფლება.

პალატის მითითებით, მესაკუთრე ითხოვს ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, ხელშეშლის აღკვეთას. ამდენად, არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რაც იმას ნიშნავს, რომ წალკის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი მართებულად დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. ბ-მა გაასაჩივრა სააკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარში მითითებული შუამდგომლობა, დაშვებულიყო წალკის საჯარო რეესტრის 2012 წლის 23 ივლისის №114022 ცნობა, რადგან ამ ცნობის წარდგენის აუცილებლობა გამოწვეული იყო მთავარ სხდომაზე მოსარჩელის განცხადებით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით ა.ბ-მა თავისი მიწის ნაკვეთის უფლების რეგისტრაცია მოახდინა მ. ს-ის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შემდეგ. ხსენებული დამახინჯებული ფაქტი საბოლოოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ისე დაფიქსირდა, როგორც უდავო გარემოება.

ამასთან, საქმეში მოიპოვება ა. ბ-ის უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათი და ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ ა. ბ-მა თავისი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში გაატარა 2007 წელს. ამის შემდგომ, მოსარჩელემ აუქციონზე შეიძინა მიწის ფართი, რომლის ელექტრონული ვერსია დამზადდა შეცდომით და მოიცვა ა. ბ-ის ნაკვეთის ნაწილი.

არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეთა შორის, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ ა.

ბ-ი არის სადავო მინის მართლზომიერი მფლობელი და ასეთად არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარის მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე, რომ ერთ საქმეზე დადასტურებული ფაქტები აღარ საჭიროებენ მტკიცებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ა. ბ-ის მინის საზღვრები არ არის დადგენილი, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ სადავო მინის ნაკვეთი, რომელზეც კასატორის კუთვნილი ფინური სახლი დგას, საჯარო რეესტრში ირიცხება ა. ბ-ის სახელზე.

გაუგებარია, თუ რა ფართი იქნა გამოთხოვილი წალკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით, რომელი მინის ნაკვეთი იქნა გამოთხოვილი ა. ბ-ის უკანონო მფლობელიდან, რადგან ეს გადაწყვეტილებაში ჩანერილი არ არის და ასეთი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია საკუთრების ხელშეშლის აღკვეთა და უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება მოსარჩელისათვის. სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხეს თვითნებურად აქვს შემოღობილი მოსარჩელის მინის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი. მოპასუხე ისე სარგებლობს სადავო მინის ნაკვეთით, რომ არ აქვს ამის სამართლებრივი საფუძველი. მხარეებს შორის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე დასრულებულ დავაზე დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ზედდებას, რაც დღეისათვის აღმოფხვრილია, ვინაიდან მოსარჩელემ წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც დაკმაყოფილდა და რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელის მინის ნაკვეთი ან მისი ნაწილი იმავდროულად არ არის რეგისტრირებული სხვა პირის (მათ შორის არც ა. ბ-ის) სახელზე. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით არ დგინდება არც ზედდება და არც ხარვეზი რეგისტრირებულ მონაცემებში.

მოპასუხის განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადან-

ყვეტილებით დადასტურებულია ზედდება, ამასთან, მოპასუხეს ორი წლით ადრე აქვს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. მოპასუხემ წარადგინა არა მხოლოდ მატერიალური შესაგებელი (რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ წარმოადგენს სადავო ნაკვეთის მესაკუთრეს, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით (პირველი და მეორე ნაწილები) გათვალისწინებული ნორმის ყველა აბსტრაქტული ელემენტის არსებობას), არამედ საპროცესო შესაგებელი, სადაც იგი ითხოვს ერთის მხრივ საქმის წარმოების შეწყვეტას დავის საგნის, დავის საფუძვლებისა და დავაში მონაწილე პირების იგივეობრიობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ საპროცესო შესაგებელი ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მ. ს-ის სარჩელზე ა. ბ-ის მიმართ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ კერძო საჩივრით, რაც დაკმაყოფილდა. ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით დადგენილია კერძო საჩივრის თაობაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების სავალდებულო ძალა, რაც ნიშნავს კერძო საჩივრის განხილვის საგანზე საქმის წარმოების დასრულებასა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანას, საკასაციო პალატა მართებულად არ მიიჩნევს, მოახდინოს იმ სასამართლო აქტის გადასინჯვა, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (აქ იგულისხმება წალკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება) ობიექტურ ფარგლებს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დაუშვებელია მხარეებმა, აგრეთვე მათმა უფლებამონაცვლეებმა სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურ-

თიერთობანი. ნორმის ამგვარი დათქმა ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული სასამართლო აქტის სავალდებულო ძალის, ასევე ამ აქტისადმი სანდოობის პრინციპის შენარჩუნებას. ივარაუდება, რომ იმ სასამართლომ, რომელმაც ერთხელ უკვე იმსჯელა მხარეებს შორის არსებულ სამართალურთიერთობაზე და დაადგინა გარკვეული ფაქტები, სასამართლოს დასკვნები ამ ფაქტებთან მიმართებაში ემყარება მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შემოწმების შედეგს. შესაბამისად, თუ იგივე ფაქტები მათი შეფასება-დადგენის კუთხით კვლავ გახდებოდა სხვა სასამართლოს მიერ სხვა სამართალწარმოების პროცესში მსჯელობის საგანი, ამით სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდით ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვასა და ზოგადად მართლმსაჯულების სტაბილურობას. ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება, ესაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემთხვევა, ისიც იმ პირობით თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით ფაქტობრივად დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა, რაც ასახულია ასევე საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში (მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ).

საკასაციო სასამართლო შენიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა იმის გამორკვევა, საქმე გვქონდა მხარეების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის ფაქტობრივ ზედდებასთან თუ სამართლებრივ ზედდებასთან. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის სწორად დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მის დადებითად ან უარყოფითად

გადანყვეტას შეუძლია გავლენა მოახდინოს დავის შედეგზე. ფაქტობრივ ზედდებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები საჯარო რეესტრში დაცული საკადასტრო მონაცემების მიხედვით სხვადასხვა ადგილას უნდა ფლობდნენ საკუთრების ობიექტს, მაგრამ ფაქტობრივი მფლობელობა აღრეულია, ანუ ფაქტობრივი მონაცემები არ შეესაბამება საკადასტრო მონაცემებს. რაც შეეხება იურიდიულ ზედდებას, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მაგალითად არასწორი აზომვითი ნახაზის შედგენით, ძველ, ხელით შესრულებულ ნახაზებსა და ახალ კოორდინატთა სისტემაში (ციფრული) შესრულებულ ნახაზებს შორის შედარების სათანადო საშუალებების არქონით. მოცემული პრობლემის აღწერასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ზედდების პრობლემის გამოვლენა ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზების შემოღებას უკავშირდება. 2006 წლამდე მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ქალაქებში მზადდებოდა. 2006 წლის 13 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ №800 ბრძანებით დაინერგა სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემა, თუმცა, სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში ელექტრონული ნახაზის შედგენა და რეგისტრაცია არ გამორიცხავს ნახაზის ქალაქის ვერსიის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. ამასთან, ქალაქებში შესრულებული საკადასტრო მონაცემების ელექტრონულ სისტემაში გადაყვანა კანონმდებლობით სავალდებულო არ გამოხდარა. შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში არც ძველი მეთოდით დამზადებული ნახაზები ასახულა (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2013 წ., გვ.379).

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკადასტრო მონაცემების ზედდება განმარტებულია, როგორც უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემების იდენტიფიკაცია უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან. ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ სარეგისტრაციო წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინტრუქციით განსაზღვრული ზედდება, ან მათ-

ში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფართობს.

როგორც დასაწყისში ვახსენეთ, მოპასუხე სარჩელისაგან თავს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნებით იცავდა, რომლის მიხედვითაც, მ. ს-ისა და ა. ბ-ის მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებში არსებობდა იურიდიული ზედდება, ხოლო ა. ბ-ი სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დადგენილი საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე წარმოადგენდა მ. ს-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრირებულ მესაკუთრეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე და 266-ე მუხლების დებულებებით და მათზე დაყრდნობით თავიდან არ უნდა შესულიყო იმ საკითხის კვლევაში, ადგილი ჰქონდა თუ არა ზედდებას. მართალია მოსარჩელეს მიმდინარე დავაში წარდგენილი ჰქონდა ახალი მტკიცებულებები, რომელიც განსხვავებულად აჩვენებდა სადავო სურათს, თუმცა, ახალი მტკიცებულებები მაინც ვერ გააქარწყლებდა პრეიუდიუციულ ფაქტებს.

საკასაციო პალატა პრეიუდიციულ ფაქტებთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს შემდეგს: იმისათვის, რომ სასამართლომ მიიჩნიოს ფაქტი პრეიუდიციალურად, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ამ ფაქტს გააჩნდა იურიდიული მნიშვნელობა, ანუ უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება ამ ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ პრეიუდიციალურ ფაქტად და ის უნდა იქნეს შეყვანილი მტკიცებების საგანში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც ერთმა მხარემ წარმოადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებს ფაქტის პრეიუდიციალურ მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე მხარემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს ამ ფაქტის არსებობას, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ფაქტის საკითხი უნდა გადაწყდეს პრეიუდიციალური ფაქტისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა გახდეს მტკიცების კვლევის საგანი.

საკასაციო საჩივრის პრეტენზია გარდა სასამართლოს მხრი-

დან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე და 266-ე მუხლების დარღვევისა, ასევე ემყარება 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ა. ბ-ის სახელზე უფლების რეგისტრაციის თარიღი. ვიდრე გადავიდოდეთ უფლების რეგისტრაციის თარიღის მნიშვნელობაზე, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მოპასუხის შესაგებელში გამოთქმულ პოზიციას იმის შესახებ, რომ ა. ბ-ის 880 კვ.მ. ფართობი საჯარო რეესტრში 2 წლით ადრეა რეგისტრირებული, ვიდრე მ. ს-ის მიწის ნაკვეთი. მოპასუხის განმარტება შესაბამისობაშია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დასკვნასთან, რომლის თანახმადაც, ნაკვეთი №85.21.06.009, ფართობით 880 კვ.მ. რეგისტრირებულია ა. ბ-ის საკუთრებად 2007 წლის 3 ივლისს, ხოლო მ.ს-მა №85.21.26.045 ნაკვეთი აუქციონზე შეიძინა და ელექტრონული ვერსიის მიხედვით დაირეგისტრირა 2009 წლის 21 დეკემბერს. საქმეში წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი, ასევე მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი, რომლებში უფლების რეგისტრაციის თარიღად ასევე მითითებულია 2007 წლის 3 ივლისი. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მითითებულ საკითხთან დაკავშირებით (როდის განხორციელდა ა. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია) არ ეფუძნება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებს.

რაც შეეხება უფლების რეგისტრაციის რიგითობის მნიშვნელობას, საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ერთგვაროვან პრაქტიკას, კერძოდ, საქმეზე №ბს-359-349(4კ-13), 24 აპრილი, 2014წ., ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საერთო წესის მიხედვით ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს. მოცემულ შემთხვევაში თვითმმართველობის ორგანოს სახელზე განხორციელებული სადავო ჩანაწერით არ გაუქმებულა ვ. მ-ის სახელზე არსებული ჩანაწერი, სახეზეა ერთი და იმავე ობიექტზე სხვადასხვა კოორდინატთა სისტემაში ორი ჩანაწერის კონკურენცია, რომლის პირობებშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც პრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას“. ადმინისტრაციული პალატის ამგვარი მიდგომა სრულად გაიზიარა საკასა-

ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც განმარტა შემდეგი: „მ. მ-ნის შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელის როგორც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, ასევე მის საფუძველზე განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერი განხორციელებულია უფრო ადრე ვიდრე დ.ვ-ის. შესაბამისად, არ უნდა დაფუძვით, რომ მოსარჩელემ, მიუხედავად ზედდებისა, იურიდიულად დაკარგა საკუთრება“. (იხ. საქმე №ას-314-299-2013 17 აპრილი, 2015 წელი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალური სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მიერ სადავო საკითხებზე დადგენილი ბოლოდროინდელი პრაქტიკა (სუსგ-ბები: 6 სექტემბერი, 2013წ., №ას-1648-1545-2012; 28 თებერვალი, 2013

ნ., №ბს-367-363(კ-12)); 16 ივლისი, 2013 წ., №ბს-192-184(3კ-13)); 24 აპრილი, 2014წ., №ბს-359-349(4კ-13); 28 თებერვალი, 2013 წ., №ბს-367-363(კ-12); 17 აპრილი, 2015 წ., №ას-314-299-2013).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**5. სარჩელის უზრუნველყოფა**  
**განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

**განჩინება**

№ას-648-610-2012

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო სარჩელზე უზრუნველყოფის  
ლონისძიების გამოყენება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2012 წლის 21 მარტს შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ წარმომადგენელმა შ. პ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ შპს „ჩ. ჩ. თ-სა“ და შპს „პ-ს“ შორის 2009 წლის 27 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება „ბათუმის პორტის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის დრაგირების სამუშაოების შესახებ“, რომლის საფუძველზეც, შემკვეთმა – შპს „პ-მა“ შემსრულებელს შპს „ჩ. ჩ. თ-ს“ შეუკვეთა ბათუმის პორტის ნავმისადგომზე გემების მიღების მიზნით წყლის გზის დრაგირება 5 მეტრამდე შესწორებით. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 400 000 აშშ დოლარი. მოწინააღმდეგე მხარის მიერ ავანსის სახით გადახდილ იქნა ჯერ 50 000, ხოლო შემდგომ 20000 აშშ დოლარი. საარბიტრაჟო სარჩელის არბიტრაჟში წარდგენის დღისათვის გადასახდელი დარჩა 370 000 დოლარი. ამჟამად, შპს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში მიმდინარეობს საარბიტრაჟო სარჩელის განხილვა, მაგრამ არ ცხადდება მოწინააღმდეგე მხარე. ამასთან, განმცხადებლის განმარტებით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მხარე გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. აქედან გამომდინარე, შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ წარმომადგენელმა შ. პ-ემ მოითხოვა შპს „პ-ის“ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება – ყადაღის დადება.

2012 წლის 21 მარტის განჩინებით შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინებულ მიზნებზე შედეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ წარმომადგენელმა შ. პ-ემ და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჩხურის ზონაში ზღვის ტერიტორიასთან მდებარე შპს „პ-ის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე 6085,00 კვ.მ მიწის ფართობზე და ბათუმში, ... ქუჩა №...-ში 185,0 კვ.მ და 356,16 კვ.მ მიწაზე ყადაღის დადება. განმცხადებელმა განცხადებაში აღნიშნა, რომ სსიპ აჭარის არსაფრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში შპს „ჩ. ჩ. თ-იმ“ სარჩელი აღძრა მოპასუხე შპს „პ-ის“ და ქ. პ-ის მიმართ და მოითხოვა ბათუმის პორტის ჩრდილო – აღმოსავლეთის მხარის დრაგირების სამუშაოების შესახებ კონტრაქტით, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ზიანის დაკისრება. განმცხადებლის განმარტებით, 2009 წლის 27 მაისს შპს „ჩ. ჩ. თ-ისა“ და „პ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, შპს „პ-მა“ შპს „ჩ. ჩ. თ-ს“ შეუკვეთა ბათუმის პორტის ნავმისადგომზე გემების მიღების მიზნით წყლის გზის დრაგირება 5 მეტრამდე შესწორებით. კონტრაქტით ზემოაღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 242 000 აშშ დოლარს. მხარეთა შეთანხმებით, საბოლოოდ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 400 000 აშშ დოლარი. შპს „პ-ს“ ავანსის სახით გადახდილი აქვს სულ 70 000 აშშ დოლარი. მოპასუხე მხარეს საარბიტრაჟო სარჩელის არბიტრაჟზე წარდგენის დღისთვის გადასახდელი დარჩა 370 000 აშშ დოლარი, რასაც დაემატა 370 000 აშშ დოლარის ძირითადი თანხის 2010 წლის 28 ივლისიდან 2011 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით გადაუხდელობით მიყენებული ზიანის 166,500 და ა 66 600 აშშ დოლარი. მოპასუხე მხარეს დღემდე არა აქვს გადახდილი ზემოაღნიშნული დავალიანება. განმცხადებლის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, სსიპ აჭარის არსაფრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში მიმდინარეობს შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ სარჩელის განხილვა. მიუხედავად იმისა რომ მოწინააღმდეგე მხარეს შპს „პ-ს“, კანონის დაცვით ჩაჰბარდა საარბიტრაჟო გზავნილი, ასევე ორჯერ ეცნობა და ჩაჰბარდა საარბიტრაჟო სასამართლოს შეტყობინება პროცესზე გამოცხადების თაობაზე, მაგრამ მხარე მაინც არ ცხადდება პროცესზე. ამდენად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მხარემ გაასხვისოს

მასზე არსებული ქონება, რომელთა გამოც, უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობამ შეიძლება, შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>18</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება.

პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთი ფორმა – ყადაღა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება, ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივ უღებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელოვან იმამში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების, კერძოდ – საკუთრების უფლების შეზღუდვას. ყადაღისა და მსგავსი ღონისძიებების დაწესება წარმოადგენს კანონმდებლობის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ხოლო აღნიშნული ჩარევა (შეზღუდვა) გამართლებულ იქნება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მათ შორის აუცილებელი ბალანსის დადგენის მიზნით.

ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს შესაბამისი უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს, როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტე-

რესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გათვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი უშევს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად – სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვისკენ არის მიმართული, ამიტომ სასამართლომ მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში უნდა შეამოწმოს უფლების უზრუნველყოფის საკითხი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს სასამართლომ შეძლებისდაგვარად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ გარემოებაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა.

შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ წარმომადგენლის შ. პ-ის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა გამომდინარეობს, მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ მოწინააღმდეგე მხარეს კანონის დაცვით ჩაჰზარდა საარბიტრაჟო გზავნილი, ასევე ორჯერ ეცნობა და ჩაჰზარდა საარბიტრაჟო სასამართლოს შეტყობინება პროცესზე გამოცხადების თაობაზე, მხარე მაინც არ ცხადდება პროცესზე, რაც, მოსარჩელის მსჯელობით, მოპასუხეს ანიჭებს შესაძლებლობას, განკარგოს კუთვნილი ქონება ე.ი. მოთხოვნა ემყარება მხოლოდ მის ვარაუდებს, ვინაიდან ის გარემოება, რომ მოპასუხე არ ცხადდება პროცესზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკმარის საფუძვლად. ამასთან, უზრუნველყოფის გამოყენების კერძოდ, ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობა შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, თუ უდავოდ დგინდება, რომ მოპასუხეს არ შესწევს უნარი, აღასრულოს სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების აღსრულების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს უძრავი ქონების დაყადაღება, ე.ი. ფაქტობრივად სავარაუდოდ უნდა იყოს, რომ მოპასუხე გადახდისუუნაროა ან არაკეთილსინდისიერად მოქმედებს. აღნიშნული გარემოებები კი განცხადე-

ბაში მითითებული არ არის.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა, რის გამოც უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე.

აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა შპს „ჩ. ჩ.რ თ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით ძალაში დარჩა გასაცვივრებული განჩინება და საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეგზავნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 356<sup>18</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამარ-

თლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, იმისათვის რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განცხადების დასაბუთების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა. განმცხადებელი ვალდებულია, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მიუთითოს არა მარტო იმაზე, თუ რომელი ღონისძიების გატარება სურს, არამედ იმაზეც, თუ რატომაა აუცილებელი მის მიერ მითითებული ღონისძიების გატარება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნა ემყარება მხოლოდ მის ვარაუდებს, ვინაიდან ის გარემოება, რომ მოპასუხე არ ცხადდება პროცესზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკმარის საფუძვლად. საჩივრის ავტორს, არც თავდაპირველ განცხადებაში და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 მარტის განჩინებაზე წარდგენილ საჩივარში არ მიუთითებია რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი, რაც დაასაბუთებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. შპს „ჩ. ჩ. თ-ს“ არ წარმოუდგენია არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და შესასრულებელი თანხის ოდენობა. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არ არის არც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობები. ამ მტკიცებულებების ანალიზი საშუალებას მისცემდა სასამართლოს, თანაბომიერების პრინციპის გამოყენებით შეეფასებინა განსახორციელებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აუცილებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დანაწესი, რადგან, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ ხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197, 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

შპს „ჩ. ჩ. თ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ბანცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

## ბანჩინება

№ას-349-332-2015

29 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს ტ. ქ-იას მიმართ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2015 წლის 28 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა აპელანტმა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება 2011 წლის 19 ივლისის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად ტ. ქ-იას მოთხოვნის უფლებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განჩინებით ნ. გ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ძველი მფლობელი ვალდებულია ახალ მფლობელს გადას-

ცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს და ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის მოვალე ამ გარიგებაში არ მონაწილეობს და ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს დათმობაზე. მას არ აქვს კრედიტორის (მოთხოვნის მფლობელის) შეზღუდვის მექანიზმი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დასაბუთებული მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებისთვის.

მითითებულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ნ. გ-მა და მოითხოვა განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ტ. ქ-ია აპირებს 2011 წლის 19 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად მოთხოვნის უფლების გასხვისებას, რის გამოც, მას მიადგება გამოუსწორებელი ზიანი, ვინაიდან მოთხოვნის უფლების შემძენის მიერ მოხდება იმ თანხების ხელმეორედ მოთხოვნა, რომელიც უკვე გადახდილია, ვინაიდან გადახდის მიუხედავად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ტ. ქ-ია გადახდილ თანხებს ითხოვს ხელმეორედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის განჩინებით დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ის საჩივარი და საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და ნ. გ-ის საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის

ფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. გ-მა თავისი სასარჩელო მოთხოვნის – ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანის უზრუნველსაყოფად მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 2011 წლის 19 ივლისის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად მოპასუხე ტ. ქ-იას მოთხოვნის უფლებისთვის ყადაღის დადება იმ მოტივით, რომ ტ. ქ-ია აპირებს აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად მოთხოვნის უფლების გასხვისებას და მოთხოვნის შემძენის მიერ მოხდება იმ თანხების ხელმეორედ მოთხოვნა, რომელიც მის მიერ უკვე გადახდილია, ვინაიდან გადახდის მიუხედავად ტ. ქ-ია სააღსრულებო ფურცლით კვლავ ითხოვს მის გადახდას.

საკაცაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას განმცხადებლის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნის/უფლების დათმობის ცნებასა და შინაარსს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა

შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს წაუყენოს ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი მფლობელის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისთვის.

ამრიგად, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა კონკრეტულად განსაზღვრავს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რაც მოჰყვება მოვალის მიმართ მოთხოვნის ახალი მფლობელის ხელში გადასვლას. კერძოდ, ახალ მფლობელზე მოთხოვნები და უფლებები გადადის ისეთ მდგომარეობაში, როგორიც ის იყო წინა მფლობელის ხელში, ანუ ახალ მფლობელს ექნება მხოლოდ იმის მოთხოვნის უფლება, რისი უფლებაც ექნებოდა წინა მფლობელს და არა მეტის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის საფუძველს და არა ერთი და იგივე მოთხოვნის რამოდენიმეჯერ (ძველი და ახალი კრედიტორის მიმართ) შესრულების წინაპირობას. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნისას განმცხადებლის ვარაუდი უსაფუძვლოდ ემყარება მოთხოვნის დათმობის იმ მოსალოდნელ შემთხვევას, როდესაც მოთხოვნის ახალი მფლობელის ხელში გადასვლისას მისი მდგომარეობა გაუარესდება უკვე გადახდილი თანხების ხელმეორედ მოთხოვნით. საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული ვარაუდი არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმების დეფინიციიდან და არსებითად სცდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს.

საკასაციო პალატა მხარის ყურადღებას მიაქცევს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დაწინაურებაზე და აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ღონისძიე-

ბის გამოყენების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელდება მისი აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სარწმუნოდ ვერ ასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, მისი მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომელთა წარმოდგენის ვალდებულება მას ეკისრებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლების შესაბამისად. მისი მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება**  
**სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების**  
**გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

№ას-1120-1067-2014

22 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლით მიყენებული ზიანის  
ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ზ. ს-მა“ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში კ. გ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის მის მიერ უკანონოდ დაკავებული ფართით სარგებლობაში ხელშეშლით მიყენებული ზიანის – 2805 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ზ. ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, კ. გ-ას დაეკისრა 2805 ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის განჩინებით კ. გ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იმავე სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა, რაც მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, კ. გ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ კი, სასამართლოსათვის არ უცნობებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კ. გ-ამ კერძო საჩივ-

რით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მიწვეული არ ყოფილა. სასამართლო უწყება მის ოჯახის წევრს არ ჩაბარებია. გზავნილი ჩაიბარა ნ. მ-ამ, რომელიც კ. გ-ას ოჯახის წევრი ან ნათესავი არ არის. როგორც აღმოჩნდა, ნ. მ-ა პირადი ნომრით ..... არის ერთი წლის ბავშვი, რომელთანაც კ. გ-ას ნათესაური კავშირი არ აქვს. კერძო საჩივარს ერთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობა, რომლის თანახმადაც კ. გ-ას ოჯახის წევრები არიან დედა ი. გ-ა, მეუღლე ლ. ფ-ა, შვილები ლ., დ. და ნ. გ-ები. საკასაციო სასამართლოში ასევე წარმოდგენილია ნ. მ-ას დაბადების მოწმობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კ. გ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, კ. გ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233.1(ა) მუხლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

იმავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი აპელანტის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დარჩა განუხილველად, საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმებით ხელმძღვანელობს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ კ. გ-ა სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არ იყო მიწვეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70.1 მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნო-

ბება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით.

იმავე კოდექსის 74.1 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინაალმდევე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კ. გ-ას მისამართზე გაგზავნილი უწყება ჩაიბარა ნ. მ-ამ, ბიძაშვილმა. შეტყობინების ბართზე აღნიშნულია მიმღები პირის პირადი ნომერი .....

კ. გ-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარმოუდგინა ნ. მ-ას დაბადების მოწმობა, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი .... წლის .... მარტსაა დაბადებული და მისი პირადი ნომერია ....., შესაბამისად, ნ. მ-ა თუნდაც კ. გ-ას ნათესავი და ოჯახის წევრი იყოს, მისთვის უწყების ჩაბარება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გაუგებარია, ამ შემთხვევაში, ფოსტის თანამშრომელმა მართლა 1 წლის ბავშვს ჩააბარა დოკუმენტი და მის ნაცვლად ვინმემ მოაწერა ხელი, თუ სხვა შეცდომას აქვს ადგილი, მაგრამ ცხადია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება, რომ კ. გ-ასათვის გაგზავნილი უწყება მისი ოჯახის ქმედუნარიან

წევრს ჩაბარდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. გ-ას კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

№ას-1046-1003-2014

16 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხისა და სარგებლის დაბრუნება, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თ. და ნ. ბ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში გ. ბ-ის მიმართ სესხის ძირითადი თანხის – 4 000 ევროს, სარგებლის – 7 680 ევროს, მატერიალური ზიანის – 1 000 ევროსა და მორალური ზიანის – 2 320 ევროს მოპასუხისათვის დაკისრების მოთ-

ხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

2006 წელს მოსარჩელებმა მოპასუხეს ასესხეს დახმარების სახით სახელმწიფოსაგან მიღებული 6 000 აშშ დოლარი. შეთანხმების თანახმად, მოპასუხეს უნდა გადაეხადა პროცენტი.

2006 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ დასაბრუნებელი სესხის ძირი თანხა განსაზღვრულიყო 4 000 ევროთი, ხოლო სარგებელი – 4%-ით.

მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა, მოპასუხეს თანხა არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, სესხის ძირი თანხის დაბრუნების ნაწილში ცნო და განმარტა, რომ, მხარეთა სიტყვიერი შეთანხმების თანახმად, 2010 წლის დასაწყისიდან მოპასუხეს სარგებელი აღარ უნდა გადაეხადა, ამასთანავე, გ. ბ-ემ უსაფუძვლოდ მიიჩნია მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ბ-ეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 4 000 ევროს გადახდა, დანარჩენ ნაწილში თ. და ნ. ბ-ებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის სხდომაზე გ. ბ-ის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თ. და ნ. ბ-ების შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, თ. და ნ. ბ-ების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პროცენტის გადახდევინებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. და ნ. ბ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. ბ-ეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა 7 680 ევროს გადახდა, დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების (პროცენტის დაკისრების ნაწილში) გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს საჩივრით მიმართა გ. ბ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით გ. ბ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა 2014 წლის 10 ივნისის დაუს-

წრებელი გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით:

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა 2014 წლის 23 მაისს, 15:30 საათზე. მონინალმდევე მხარის წარმომადგენელმა თ. კ-ემ 2014 წლის 13 მაისს განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის გადადების მოთხოვნით, რადგან 2014 წლის 23 მაისს, 17:00 საათზე განსასჯელ ზ. ს-ის ადვოკატის სახით მონაწილეობას იღებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში დანიშნულ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა გადაიდო 2014 წლის 10 ივნისს, 14:30 საათზე.

2014 წლის 4 ივნისს თ. კ-ემ კვლავ მიმართა განცხადებით სასამართლოს და ითხოვა, საქმის განხილვა გადადებულიყო სხვა დროისათვის, რადგან 2014 წლის 10 ივნისს, 12:00 საათზე, როგორც განსასჯელების – თ. ს-ისა და მ. თ-ის ადვოკატს, მონაწილეობა უნდა მიეღო ბათუმის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, განცხადებას დაურთო მითითებული გარემოებების დამადასტურებელი სასამართლო უწყება.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის სხდომაზე გამოცხადდა აპელანტი, ხოლო მონინალმდევე მხარე არ გამოცხადებულა. აპელანტებმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. და ნ. ბ-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პროცენტის გადახდევინების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და თ. და ნ. ბ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. ბ-ეს დაეკისრა 7 680 ევროს გადახდა თ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სასარგებლოდ.

თ. კ-ემ საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 2014 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

გ. ბ-ის წარმომადგენელი თ. კ-ე 2014 წლის 10 ივნისს, 12:00 საათზე მონაწილეობას იღებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, როგორც განსასჯელების: თ. ს-ისა და მ. თ-ის ადვოკატი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარედგინა. საქმეზე მომხსენებელი მოსამართლის თანაშემწეს 2014 წლის 10 ივნისს ტელეფონით ეცნობა, რომ იმავე დღეს იყო გ. ბ-ის ნათესავის (სიძის) დაკრძალვა, რის გამოც ვერც მხა-

რე გამოცხადებოდა სააპელაციო სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე (აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მომჩივანმა წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ კვირიკეს ტერიტორიული ორგანოს 01.06.2014წ. №01-04/19 ცნობა, რომლის თანახმადაც, რ. კ-ე, გ. ბ-ის სიძე, გარდაიცვალა 2014 წლის 5 ივნისს და იგი დაკრძალეს 2014 წლის 10 ივნისს). ამდენად, არსებობდა ობიექტური, საპატიო მიზეზი, რის გამოც მონინაალმდევე მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 230-ე მუხლებით, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 216-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისათვის გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის ნორმები. ასეთ დროს, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და აპელანტის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის ხელშემშლელი, დაუძლეველი და საპატიო მიზეზები არ არსებობდა. მართალია, ადვოკატი თ. კ-ე იმავე დღეს მონინალობდა სხვა საქმის განხილვაში, თუმცა გ. ბ-ეს უნდა გათვალისწინებინა, რომ საქმის განხილვა იმავე მოტივით ერთხელ უკვე იყო გადადებული. თ. კ-ის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეს გააჩნდა საკმარისი დრო, უზრუნველყო სხვა ადვოკატის გამოცხადება ან თავად მისულიყო სხდომაზე და დამოუკიდებლად დაეცვა საკუთარი ინტერესი. ადვოკატის მოუცლევლობის გამო საქმის განხილვის დაუსრულებლად გადადება, სასამართლოს შეფასებით, ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების დროული და ეფექტური განხორციელების პრინციპს, უსაფუძვლოდ აჭიანურებს საქმის განხილვას, რითაც ირღვევა აპელანტების კანონიერი ინტერესი.

მხარის გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ დამტკიცებულად ცნო სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თ. და ნ. ბ-ებმა 2006 წელს გ. ბ-ეს ასესხეს 6000 აშშ დოლარი. სესხის დაბრუნების კონკრეტული ვადა არ განსაზღვრულა. 2008

წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის ძირითად თანხად ჩათვალათ 4000 ევრო, რომელსაც ყოველთვიურად დაერიცხებოდა სარგებელი – ძირითადი თანხის 4 პროცენტი. 2009 წლის სექტემბერში გამსესხებლებმა მოსთხოვეს მსესხებელს – 2010 წლის 1 იანვრამდე დაებრუნებინა ძირითადი თანხა, რის შედეგადაც აღარ მოსთხოვდნენ დარჩენილი თვეების სარგებლის გადახდას, თუმცა მსესხებელმა თანხა ვერ დააბრუნა, რის შემდეგაც 2010 წლის თებერვალში, იმავე პირობებით, გამსესხებლებმა მოსთხოვეს თანხის დაბრუნება 6 თვის ვადაში. გ. ბ-ემ ვერც ამ ვადაში შეასრულა ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 625-ე მუხლების (ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი რედაქციის) თანახმად, იურიდიულად მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას, შესაბამისად, სარჩელი 2009 წლის სექტემბრიდან სარჩელის აღძვრამდე (2013 წლის 26 ნოემბერი – 51 თვე) სარგებლის გადახდევინების თაობაზე დასაბუთებული იყო. ამასთან, აპელანტები ითხოვდნენ სარგებელს (4 000 ევროს 4% = 160 ევროს) 48 თვისათვის (160 ევრო X 48 თვეზე = 7 680 ევროს), რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურებას საერთოდ არ ითვალისწინებს, ხოლო მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით აპელანტებს კონკრეტულად არ მიუთითებიათ ფაქტობრივი გარემოებები.

ამდენად, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ადვოკატ თ. კ-ის გამოუცხადებლობის მიზეზთან დაკავშირებით და ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება არ აბრკოლებდა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანას. მომჩივანს, თ. კ-ის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, რაიმე ახალი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

უშუალოდ გ. ბ-ის გამოუცხადებლობის საკითხის შეფასების მიზნით, პალატამ მიუთითა მხარის განმარტებაზე, რომ 2014 წლის 5 ივნისს გარდაცვლილი რ. კ-ე არ იყო მისი ოჯახის წევრი (ახლო ნათესავი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება არა მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე მხარემ დაკარგა დავისადმი ინტერესი, არამედ მას აქვს გარკვეული სანქციის სახე იმ მხარის მიმართ, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს საპროცესო ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, გ. ბ-ის მიმართ კანონიერად იყო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან იგი თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე მაშინ, როდესაც ანალოგიური საფუძველით (ადვოკატის მოუცვლელობა) საქმის განხილვა ერთხელ უკვე იყო გადადებული, რაც საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი მოთხოვნები. მართალია, ამავე კოდექსის 387-ე მუხლით სასამართლოს უფლება აქვს, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დათქმა მხარის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აკრძალვის თაობაზე.

როგორც პირველი, ისე მეორე სასამართლო სხდომის დაწყებამდე სააპელაციო სასამართლოს უწყების წარდგენის გზით ეცნობა, რომ გ. ბ-ის წარმომადგენელი სხვა სასამართლოში იყო გამოძახებული სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობის მიხედვად და თ. კ-ის გამოუცხადებლობა სისხლის სამართლის საქმეზე, მისი, როგორც დამცველის დაჯარიმებას გამოიწვევდა, რაც ასევე უარყოფითად იმოქმედებდა მის პროფესიულ საქმიანობაზე. სააპელაციო პალატამ, მართალია მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლზე, თუმცა არ უმსჯელია ამ ნორმით დადგენილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების

გაუქმებისათვის გათვალისწინებულ წინაპირობებზე.

რაც შეეხება უშუალოდ მხარის გამოცხადების შეუძლებლობას, სასამართლოს წარედგინა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ კვირიკეს ტერიტორიული ორგანოს მიერ 2014 წლის 1 ივნისს გაცემული №01-04/19 ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ გ. ბ-ის სიძე – რ. კ-ე გარდაიცვალა 2014 წლის 5 ივნისს და დაკრძალეს ამავე წლის 10 ივნისს, ანუ იმ დღეს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მითითებული გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ გ. ბ-ეს უნდა გაეთვალისწინებინა ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო სასამართლო სხდომის ერთხელ გადადების ფაქტი, რომ მას ჰქონდა საკმარისი დრო სხვა ადვოკატის ასაყვანად. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ სიძის გარდაცვალების გამო მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა სხვა ადვოკატის აყვანისათვის, ის ვერ გაითვალისწინებდა, რომ თ. კ-ეს სხვა სასამართლოში ექნებოდა პროცესი, გარდა აღნიშნულისა, კასატორს უკვე ჰყავს წარმომადგენელი, მისთვის გადახდილი აქვს გასამრჯელო, ხოლო მოქმედი კანონმდებლობის არც ერთი დანაწესი არ ავალდებულებს მხარეს ასეთი შემთხვევისათვის ახალი დამცველის აყვანას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეისწავლა გ. ბ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით წინამდებარე საქმეზე დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2014 წლის 13 მაისს, 15:30 საათზე; სასამართლო სხდომის თაობაზე სატელეფონო შეტყობინების გზით ეცნობათ მხარეებს;

2014 წლის 13 მაისს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგე-

ნელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება, სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების თაობაზე, ასევე სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმადაც, წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2014 წლის 13 მაისს, 17:00 საათზე;

საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობას წერილობით დაეთანხმა აპელანტების წარმომადგენელი;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მაისის სხდომაზე დაკმაყოფილდა თ. კ-ის შუამდგომლობა და იმავე დღეს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობათ როგორც აპელანტების წარმომადგენელს, ისე მონინალმდებელს მხარეს – გ. ბ-ეს სასამართლო სხდომის 2014 წლის 10 ივნისს დაინიშნის თაობაზე;

2014 წლის 4 ივნისს სასამართლო წერილობითი შუამდგომლობით მიმართა გ. ბ-ის წარმომადგენელმა თ. კ-ემ და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება იმ საფუძველით, რომ 2014 წლის 10 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაბარებული სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის სახით, შუამდგომლობას თან ერთვის სასამართლო უწყება;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მხარის შუამდგომლობა დაუსაბუთებლად მიიჩნია და 2014 წლის 10 ივნისის საოქმო განჩინებით არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ მონინალმდებელს მხარის გამოუცხადებლობის ხელშემშლელი, დაუძლეველი და საპატიო მიზეზები არ არსებობდა. სასამართლოს განმარტებით, მართალია, ადვოკატი თ. კ-ე იმავე დღეს მონაწილეობდა სხვა საქმის განხილვაში, თუმცა გ. ბ-ეს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საქმის განხილვა იმავე მოტივით ერთხელ უკვე იყო გადადებული, მას გააჩნდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ, თუ თ. კ-ე ვერ ახერხებდა პროცესზე გამოცხადებას, უზრუნველყო სხვა ადვოკატის გამოცხადება ან თავად მისულიყო სხდომაზე, რათა დამოუკიდებლად დაეცვა საკუთარი ინტერესი. ადვოკატის მოუცლევლობის გამო საქმის განხილვის დაუსრულებლად გადადება ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების დროული და ეფექტური განხორციელების პრინციპს, უსაფუძვლოდ აჭიანურებს საქმის განხილვას, რითაც ირღვევა აპელანტების კანონიერი ინტერესი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მონინალმდებელს მხარის გამოუცხადებლობის გამო დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, ამასთანავე, მითითებული გარემოებები რადგანაც ნაწი-

ლობრივ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარს, პალატამ გ. ბ-ის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ მიიჩნია მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა სასამართლო სხდომის დღეს აპელანტის მონინაალმდეგე მხარის სიძის დაკრძალვის თაობაზე. პალატამ გ. ბ-ის განმარტება, რომ გარდაცვლილი არ იყო მისი ოჯახის წევრი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ მიიჩნია.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა გამოცხადების შეუძლებლობის ფაქტი. ამასთანავე, არასწორად დაავალდებულა მხარე, აეყვანა სხვა ადვოკატი.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-

2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემომდგეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინალმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო სხდომაზე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა დასაბუთებულია სისხლის სამართლის საქმის განხილვაში თ. კ-ის მონაწილეობით, ამ ფაქტის დამტკიცების მიზნით წარმოდგენილია სასამართლო უწყება.

რაც შეეხება უშუალოდ მხარეს, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, გ. ბ-ის სიძე – რ. კ-ე გარდაიცვალა 2014 წლის 5 ივნისს და დაკრძალეს ამავე წლის 10 ივნისს, რომელიც ემთხვევა სასამართლო სხდომის დღეს.

ამ მტკიცებულების სწორად გაანალიზების მიზნით, უპირველესად საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, სადაც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა საპატიოდ იქნა მიჩნეული რადგანაც სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელმა უწყების წარდგენის გზით აცნობა სხვა სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე მონაწილეობის თაობაზე. ეს გარემოება საკასაციო პალატამ საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად მიიჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ. უწყების წარდგენით მხარემ მისი ვალდებულება გამოუც-

ხადებლობის შესახებ სასამართლოს წინასწარ ინფორმირების თაობაზე სათანადოდ განახორციელა, რაც არ უნდა გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხარისა და წარმომადგენლის ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, მათ შორის არსებული ურთიერთობის განსაკუთრებული ნდობის გათვალისწინებით, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე (იხ. სუსგ №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი).

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო პალატამ ადვოკატ თ. კ-ის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში საპატიოდ მიიჩნია და 2014 წლის 13 მაისს სხდომის გადადების თაობაზე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. იმისათვის, რათა შემომდგეს, თუ რამდენად საპატიო იყო წარმომადგენლის ამავე მიზეზით კვლავ გამოუცხადებლობა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეფასება უნდა მიეცეს რამდენიმე გარემოებას: სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 13 მაისის სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდა არც აპელანტი და არც მონაწილე მხარე, შუამდგომლობა საქმის წარმოების გადადების თაობაზე დააკმაყოფილა;

საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აქტის თანახმად, 2014 წლის 10 ივნისს სასამართლო სხდომის გადაწვევის თაობაზე 2014 წლის 13 მაისს ეცნობა უშუალოდ მონაწილემ მხარეს – გ. ბ-ეს, ამდენად, უდავოა, რომ სასამართლოს მიერ სხდომის ახალი თარიღის დანიშვნისას წარმომადგენელს არ მიეცა შესაძლებლობა, მოეხსენებინა სააპელაციო პალატისათვის საკუთარი პოზიცია, ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება და არც სააპელაციო სასამართლოს დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ახალი

სხდომის თარიღის შეტყობის დროისათვის თ. კ-ე სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე არ იყო მიწვეული და მას სისხლის სამართლის საქმეზე შეტყობინება სწორედ მას შემდეგ ჩაბარდა, როდესაც მისთვის უკვე ცნობილი იყო სამოქალაქო საქმის განხილვის დროის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადასტურებს ადვოკატ თ. კ-ის სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. აღნიშნული გარემოება, თავისთავად მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას უთანაბრდება. პალატა სავსებით იზიარებს კასატორის იმ არგუმენტსაც, რომ პირი არ არის ვალდებული, იყოლიოს სხვა წარმომადგენელიც, ვინაიდან ამგვარ დათქმას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასკვნას, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტით გ. ბ-ის გამოცხადების საპატიოობა არ დასტურდება, ასევე ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ. ამ თვალსაზრისით პალატა მიუთითებს აპელანტთა წარმომადგენლის პრეტენზიაზე, რომელიც მან გამოთქვა საჩივრის ზეპირი განხილვის დროს და ამავე სახითაა ეს პრეტენზია ასახული საკასაციო შესაგებელში. ს. კ-ის მითითებით, ცნობა გაცემული 2014 წლის 1 ივნისს და ასახავს ამავე წლის 10 ივნისს, ანუ მისი გაცემის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, საბუთის სიყალბის ფაქტი მხარეს სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, არც მისი საქმიდან ამორიხვისა თუ ნამდვილობის შემონმების აუცილებლობა დამდგარა დღის წესრიგში, უფრო მეტიც, აპელანტების წარმომადგენელი არ შედავებია საბუთში გადმოცემულ დასკვნას პირის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ფაქტის თაობაზე, საკასაციო საჩივარზე წარმოდგენილი შესაგებლის თანახმად, ნ. და თ. ბ-ები ადასტურებენ, რომ „გარდაცვლილს ოჯახიც ჰქონდა და ჭირისუფალიც ჰყავდა“.

ამდენად, საჩივარზე დართულ ცნობაში ასახული ინფორმაცია – რ. კ-ის 2014 წლის 10 ივნისს დაკრძალვა სადავო გარემოებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს მაინც ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე, რადგანაც მხარემ განმარტა, რომ გარდაცვლილი არ იყო მისი ახლო ნათესავი, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მას და მიუთითებს 2014 წლის 15 ივლისის სხდომაზე გ. ბ-ის მიერ

მიცემულ განმარტებაზე, სადაც მხარემ აღნიშნა, რომ გარდაცვლილი რ. კ-ე მამამისის ბიძაშვილის ქმარი იყო, გარდაცვლილის მეუღლე მისი ახლო ნათესავია („იგი ჩემი დაა, ერთ ოჯახში ვართ გაზრდილი“, იხ. 15.17.14 სხდომის ოქმი 18:02:20 სთ).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, კერძოდ, მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეზე დასტურდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღების გამახვილებას იმ საკითხზეც, რომელიც სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის ასევე უტყუარად უნდა არსებობდეს.

როგორც აღინიშნა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალური წინაპირობის არსებობის უტყუარად დადგენისას (მხარის გამოუცხადებლობა) სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ის, იურიდიული თვალსაზრისით თუ რამდენად ასაბუთებს მოთხოვნას კანონის ძალით დადგენილად და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონინალმდეგე მხა-

რე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემოწმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაბათილდება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში უნდა მიიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე).

განსახილველ შემთხვევაში, გ.ბ-ის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

თ. და ნ. ბ-ებმა 2006 წელს გ. ბ-ეს ასესხეს 6000 აშშ დოლარი; სესხის დაბრუნების კონკრეტული ვადა არ განსაზღვრულა;

2008 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის ძირითად თანხად ჩაეთვალათ 4000 ევრო, რომელსაც დაერიცხებოდა სარგებელი – ყოველთვიურად ძირითადი თანხის 4 პროცენტი;

2009 წლის სექტემბერში გამსესხებულებმა მოსთხოვეს მსესხებელს – 2010 წლის 1 იანვრამდე დაებრუნებინა ძირითადი თანხა, რის შედეგადაც აღარ მოსთხოვდნენ დარჩენილი თვეების სარგებლის გადახდას, თუმცა – მსესხებელმა თანხა ვერ დააბრუნა, რის შემდეგაც 2010 წლის თებერვალში, იმავე პირობებით, გამსესხებულებმა მოსთხოვეს თანხის დაბრუნება 6 თვის ვადაში;

გ. ბ-ემ ვერც ამ ვადაში შეძლო ვალდებულების შესრულება.

ამ ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მითითებულია სარჩელში და არა სააპელაციო საჩივარში. თავის მხრივ, საპროცენ-

ტო სარგებლის დაკისრების მოთხოვნაზე უარს საქალაქო სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ მხარეთა შეთანხმებით პროცენტის გადახდა 2009 წლის ოქტომბრიდან შეწყდა. დაუსრულებელი გადაწყვეტილებით არ დგინდება სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა თუ არა აპელანტის ახსნა-განმარტებით, რომლებიც მიმართული უნდა ყოფილიყო საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ამ გარემოებების გაქარწყლებისაკენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია აპელანტის მონინალმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლად და არასწორადვე ჩათვალა, რომ არსებობდა დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, რის გამოც სესხის სარგებლის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული დაუსრულებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება სესხის სარგებლის დაკისრების ნაწილში, ასევე ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. სასამართლო გადაწყვეტილება გადაწყვეტილების განმარტების მართლზომიერება

### განჩინება

№ას-1094-1043-2014

8 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების განმარტება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ტ. ი-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. კ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, ფულადი კომპენსაციის – ყოველთვიურად 928.4 ლარის გადახდის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ტ ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ს. კ-ას“, მის სასარგებლოდ, დაეკისრა ფულადი კომპენსაციის, ყოველთვიურად 928.4 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. კ-ამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ტ. ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს. კ-ას“ ტ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი კომპენსაციის, ყოველთვიურად 400 ლარის გადახდა. შპს „ს. კ-ას“ ტ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის ხარჯის – 500 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის განჩინებით ტ. ი-ის საკასაციო საჩივარი და შპს „ს. კ-ის“ შეგებებული საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2014 წლის 31 ივლისს შპს „ს. კ-ამ“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტების მოთხოვნით. მისი მითითებით, სარეზოლუციო ნაწილში არ არის აღნიშნული, რა პერიოდამდე ეკისრება კომპანიას თანხის გადახდა. განმცხადებლის მტკიცებით, ხელშეშლა შეწყვეტილი იყო და ნ. კ-ამ მიღები ტ. ი-ის ნაკვეთიდან გაიტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შპს „ს. კ-ის“ განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განმარტა შემდეგნაირად: „დაეკისროს შპს „ს. კ-ას“ ტ. ი-ის სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის სახით ყოველთვიურად 400 ლარის გადახდა ამ საქმეზე სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2012 წლის 18 სექტემბრიდან შპს „ს. კ-ის“ მიერ ტ. ი-ის საკუთრების უფლების ხელშეშლის პერიოდში.“

აღნიშნული განჩინება ტ. ი-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან ისედაც ცხადია, რომ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ხელშეშლის არსებობის პერიოდზე ვრცელდება, გარდა ამისა, ხელშეშლა არ დასრულებულა. მართალია, ნ. კ-ამ მილსადენი ძველი ადგილიდან გადაიტანა, მაგრამ ტ. ი-ის მიწის ნაკვეთთან დასაშვებზე ახლოსაა განთავსებული და ის მაინც ვერ ახერხებს დამტკიცებული პროექტისა და ნებართვის შესაბამისად მშენებლობის განხორციელებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ტ. ი-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა გადაწყვეტილების განმარტების მართლზომიერების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე გადაწყვეტილების განმარტების საფუძველია სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, ხოლო განმარტების მიზანი – აღსრულების ხელშეწყობა. ამ ნორმის მიზნებისათვის, აღსრულების ხელშეწყობა გულისხმობს არა მხოლოდ აღსრულების პროცედურების განხორციელების დაწყებას, არამედ აღსრულების დასრულებასაც.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან ისედაც ცხადი იყო, რომ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ხელშეშლის არსებობის პერიოდზე ვრცელდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობიდან ირკვევა, რომ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ხელშეშლის ფაქტთანაა დაკავშირებული, მაგრამ გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო ნაწილი არის სარეზოლუციო ნაწილი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი ნესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად მიექცევა მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). ამ გარემოების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს ზუსტ

ფორმულირებულ დებულებებს, შეძლებისდაგვარად დაზუსტებულ მოთხოვნებს, რაც აღსრულების პროცესში უნდა განხორციელდეს (იხ, ასევე, სუსგ №ას-1255-1198-2013).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი გარკვეულწილად უზუსტო იყო, ვინაიდან არ განსაზღვრავდა, კომპენსაციის გადახდის ვალდებულება რა პერიოდს მოიცავდა. რჩებოდა იმგვარი შთაბეჭდილება, რომ ნ. კ-ას მუდმივად უნდა ესადა კომპენსაცია, მაშინ, როდესაც თავად სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან და ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან ირკვეოდა, რომ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის ფაქტთან იყო დაკავშირებული და გრძელდებოდა ხელშეშლის პერიოდისათვის. ხელშეშლის აღკვეთა კი, კომპენსაციის გადახდის საჭიროებას გამოიწვევს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სარეზოლუციო ნაწილის ეს დებულება განმარტებას საჭიროებდა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ხელშეშლა არ დასრულებულა. მართალია, ნ. კ-ამ მილსადენი ძველი ადგილიდან გადაიტანა, მაგრამ ტ. ი-ის მიწის ნაკვეთთან დასაშვებზე ახლსაა განთავსებული და ის მაინც ვერ ახერხებს დამტკიცებული პროექტისა და ნებართვის შესაბამისად მშენებლობის განხორციელებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტება არ ნიშნავს კომპენსაციის გადახდის შეწყვეტას განმარტების მომენტიდან. სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა ის სამართლებრივი მოცემულობა, რომლის დადგომის შემთხვევაში, „გ. ნ. კ-ას“ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება აღარ დაეკისრება: ამ უკანასკნელის მხრიდან ტ. ი-ის საკუთრების გამოყენების და ტ. ი-ის მიერ კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობაში ხელშეშლის შეწყვეტა, რაც იმავდროულად ნიშნავს ტ. ი-სათვის კუთვნილი ნაკვეთით, თავისი შეხედულებისამებრ, თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭებას. ის ფაქტი, რომ ხელშეშლა დასრულებულია, ცალკე შეფასების საგანია გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. ხელშეშლის აღკვეთა ამ შემთხვევაში მოპასუხის დასადასტურებელია, ამასთან აღსანიშნავია, რომ თავად ტ. ი-ის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივრით ირკვევა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მდგომარეობის გარკვეული ცვლილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. ი-ის კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სასამართლებრივ საფუძველს არ ქმნის.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. ი-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 8. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### ბანჩინება

№ას-372-350-2014

21 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ა-ამ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მ. გ-სა და ლ. ჩ-ას წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და მოითხოვა მოპასუხეებს შორის უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ზედდების ნაწილში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით ნ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. კ-ა (ან – მისი წარმომადგენელი), გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო არაუგვიანეს 2014 წლის 25 იანვრისა; რადგან იგი არ გამოცხადდა, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 25 იანვრიდან. აპელანტს არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების ჩაბარება კანონით დადგენილ ვადაში არ მოხდა სასამართლოს ბრალეულობით, ანუ იმის გამო, რომ გადაწყვეტილება არ იყო მზად. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2014 წლის 7 თებერვლის 24:00 საათზე.

სააპელაციო საჩივარი კი, 2014 წლის 24 თებერვალსაა შეტანილი.

აღნიშნული განჩინება აპელანტმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, კანონით დადგენილ ვადაში გამოცხად-

და სასამართლოში და განცხადება წარადგინა, მაგრამ დასაბუთებული გადანყვეტილება არ ჩაბარდა. ამის შემდეგაც არაერთხელ გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ ეუბნებოდნენ, რომ გადანყვეტილება მზად არ იყო. გადანყვეტილება ჩაბარდა 10 თებერვალს, რის შემდეგაც, 14 დღის ვადაში შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ნ. ა-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი ინყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადანყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადანყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადანყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადანყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადანყვეტილება მხარისათვის გადასაცე-

მად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა, შესაბამისად, გასაჩივრების მსურველი მხარე არაუადრეს 15 იანვრისა და არაუგვიანეს 27 იანვრისა (ვინაიდან გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღე, 25 იანვარი, შაბათი იყო) უნდა გამოცხადებული სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად.

საქმეში არსებული განცხადებით დასტურდება, რომ 2014 წლის 16 იანვარს (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 21-ე დღეს) ნ. ა-ამ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. გადაწყვეტილება ნ. ა-ას შვილმა 2014 წლის 10 თებერვალს ჩაიბარა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტს არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების ჩაბარება კანონით დადგენილ ვადაში არ მოხდა სასამართლოს ბრალეულობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი მსჯელობა არასწორია.

საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ გადაწყვეტილების ჩაუბარებლობა დადასტურდეს სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით ან რაიმე სხვა მტკიცებულებით. სასამართლოს ევალება, მხარის მიმართვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩააბაროს მას გადაწყვეტილება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ იქნება. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, საპროცესო კანონმდებლობით, დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში და არა მე-20 ან 30-ე დღეს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ

მხარემ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, ხოლო გადაწყვეტილება არ ჩაბარებია, ივარაუდება, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა. საპირისპირო უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებით (მაგ. მხარემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების ჩაბარებაზე და ა.შ.). ყოველგვარი ეჭვი ნყდება მხარის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ნ. ა-ამ შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 21-ე დღეს გამოცხადდა სასამართლოში, მაგრამ დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაბარდა, რის გამოც, გასაჩივრების ვადის ათვლა მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან უნდა დაიწყოს და არა საჩივროლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

ნ. ა-ას ოჯახის წევრს – შვილს გადაწყვეტილება 2014 წლის 10 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 11 თებერვლიდან და 24 თებერვალს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი 24 თებერვალსაა შეტანილი და სააპელაციო სასამართლოს განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ა-ას კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ნ. ა-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

№ას-268-256-2015

4 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ქ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. თ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თ. ქ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე თ. თ-ეს მოსარჩელე თ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი 1500 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე საჯარიმო ავტოსადგომზე 10 დღის საფასური – 40 ლარი; მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების დარჩენილ 10 190 ლარის ნაწილში – არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ქ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით თ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტისათვის ცნობილი იყო გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელე თ. ქ-ი. სსსკ-ის 259<sup>1</sup> მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად მას სასამართლოსთვის უნდა მიემართა 2014 წლის 24 დეკემბრიდან (მე-20 დღე) 2015 წლის 2 იანვრის ჩათვლით (30-ე დღე). საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ

აპელანტმა გადაწყვეტილება ჩაიბარა 2014 წლის 9 დეკემბერს, შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 10 დეკემბრიდან და ამოიწურა 2014 წლის 23 დეკემბერს. მან კი სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 8 იანვარს, კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. ქ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება მას 2014 წლის 9 დეკემბერს არ ჩაბარებია. ამ დღეს მისმა წარმომადგენელმა ჩაიბარა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინება და 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2014 წლის 29 დეკემბერს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც საქმეში წარმოდგენილია. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სადავო გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-10 დღეს, 2015 წლის 9 იანვარს, შესაბამისად, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია და არ არსებობდა მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე

მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 4 დეკემბერს დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად მხარე სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო 2014 წლის 24 დეკემბრიდან (მე-20 დღე) 2015 წლის 2 იანვრის (30-ე დღე) ჩათვლით. საქმის მასალებით კი სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ქ-ს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 9 დეკემბერს და, შესაბამისად, მისთვის გასაჩივრების 14 დღიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 10 დეკემბერს და ამოიწურა ამავე წლის 23 დეკემბერს.

აღნიშნულის სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63.3-ე და 259<sup>1</sup>-ე მუხლების საფუძველზე.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ აპელანტი მხარისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 4 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის თაობაზე, თუმცა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის დაწყებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოც-

ხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საქმეში წარმოდგენილია თ. ქ-ის რწმუნებულის, ფ. კ-ის მიერ შედგენილი მსგავსი შინაარსის მქონე ორი ხელწერილი: პირველი ხელწერილით ირკვევა, რომ 2014 წლის 9 დეკემბერს ფ. კ-მა ჩაიბარა გადაწყვეტილება №2-912-14 საქმეზე. მეორე ხელწერილით კი დასტურდება, რომ მანვე 2014 წლის 29 დეკემბერს მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით და იმავე დღეს ჩაიბარა იგი.

პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, მისი 259<sup>1</sup>-ე მუხლი ერთის მხრივ, ადგენს მხარის ვალდებულებას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად, ხოლო, მეორეს მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

მოცემულ შემთხვევაში თავად სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინებაში მიუთითა, რომ ვინაიდან გასაჩივრების უფლების მქონე მხარისთვის (თ. ქ-ისთვის) ცნობილი იყო 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თაობაზე, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად მხარე სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო 2014 წლის 24 დეკემბრიდან (მე-20 დღე) 2015 წლის 2 იანვრის (30-ე დღე) ჩათვლით.

საქმეში არსებული პირველი ხელწერილით (რომლის შესაბამისად, 2014 წლის 9 დეკემბერს თ. ქ-ის წარმომადგენელმა ჩაიბარა გადაწყვეტილება) ირკვევა, რომ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან გასულია 5 დღე, ანუ გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის სასამართლოსთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის ვალდებულება (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა) ჯერ არ დამდგარა. საქმეში არსებული მეორე ხელწერილის შესაბამისად კი დასტურდება, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნით სასამართლოს თ. ქ-ის წარმომადგენელმა მიმართა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 25-ე დღეს (2014 წლის 29 დეკემბერს), ანუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

გამომდინარე იქიდან, რომ:

1. 2014 წლის 9 დეკემბრის ხელწერილი შეიცავს მხოლოდ ზოგად მითითებას გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე;

2. ნაკლებად სავარაუდოა 2014 წლის 9 დეკემბერს, ანუ საქმის ზეპირი მოსმენის დასრულებიდან და გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღეში სასამართლოს მზად ჰქონდა დასაბუთებული გადაწყვეტილება, მაშინ, როცა მხარეს მისი მოთხოვნის ვალდებულება წარმოეშობა გადაწყვეტილების გამოტანიდან მე-20 დღეს

(არა უადრეს 20 დღისა);

3. 2014 წლის 29 დეკემბრის ხელწერილით დასტურდება კანონით დადგენილ ვადაში მხარის მიერ სასამართლოსადმი დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართვის ფაქტი;

4. მხარე უთითებს 2014 წლის 9 დეკემბერს სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების თაობაზე და საქმეში წარმოდგენილია გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასლი, რომელიც იმავე სასამართლოს კანცელარიის ბეჭდით დამონმებულია სწორედ 2014 წლის 9 დეკემბერს;

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი), მზემოაღნიშნული გარემოებები უნდა განიმარტოს მხარის სასარგებლოდ. კერძოდ, იმგვარად, რომ დაცული იქნას გასაჩივრების უფლების მქონე მხარის უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. მითუმეტეს მაშინ, როდესაც სასამართლოს, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ექმნება გონივრული ვარაუდი იმისა, რომ აპელანტს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადა. ამასთან, საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მეორე ხელწერილზე დაფიქსირებული მხარის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების ან/და სასამართლოსთვის მიმართვის თარიღის უსწორობას. შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც საწინააღმდეგოთი არ დასტურდება, უნდა გადაწყდეს მხარის სასარგებლოდ და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ მიჩნეულ იქნას 2014 წლის 29 დეკემბერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსა-

ბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინება და საქმე თ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შუტანის ვადა**

### **განჩინება**

№ას-1269-1209-2014

25 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** პირგასამტეხლოს დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. თბილისის მერიამ სარჩელი აღძრა ზ. კ-ას მიმართ ქ. თბილისის მერიის სასრგებლოდ 2011 წლის 7 ნოემბერს გაფორმებული №ე-59-7-3276 ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირის 1726.58 ლარისა და და აღნიშნული თანხის საბოლოო გადახდამდე საიჯარო ქირის 4600 ლარის 0.1%-ის გადახდის დაკისრების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის №ე-59-7-3276 გადაწყვეტილებით ზ. კ-ას სარგებლობის უფლებით გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, გლდანი, მე-... მ/რ, კორპუსი 27-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი: ... . ქირის თანხა განისაზღვრა წლიური 4 600 ლარით. იმავე თარიღის №ე-59-8-3277 გადაწყვეტილებით, მას სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, გლდანი მე-... მ/რ, კორპუსი №...-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით: ... . სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 1 800 ლარით.

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 16 მარტის №01-4/25 და №01-4/26 ბრძანებებით ცვლილება შევიდა ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში და იჯარის საგნად განისაზღვრა საკადასტრო კოდებით №... და №... რეგისტრირებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, გლდანის დასახლება მე-... მ/რ, კორპუსი 27-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. ფართი.

მოსარჩელის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ზ. კ-ას განცხადება და შეწყდა №59-7-3276 და №59-8-3277 გადაწყვეტილებებით გადაცემული იჯარის უფლება.

2011 წლის 7 ნოემბრის №ე-59-7-3276 ხელშეკრულება გაგრძელდა 2012 წლის 16 მარტიდან 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით 137 დღე და ქირის საფასურმა შეადგინა 1 726,58 ლარი.

2011 წლის 7 ნოემბრის №ე-59-8-3277 იჯარის ხელშეკრულება გაგრძელდა 2012 წლის 16 მარტიდან 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით 137 დღე და ქირის საფასურმა შეადგინა 675,62 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, მხარეთა შეთანხმების 10.1 პუნქტით გათვალისწინებულია სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო ქირის 0,1 %, მაგრამ არანაკლებ 1 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 6 დეკემბრის №ე-75-1-3809 და №ე-75-2-3810 გადაწყვეტილებებით ზ. კ-ას სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევი, დასახლება გლდანი, მე-... მ/რ, კორპუსი №10-ის მიმდებარედ 6 კვ.მ საკადასტრო კოდი: ... და საკადასტრო კოდი: ... . სარგებლობის წლიური საფა-

სური №ე-75-1-3809 გადაწყვეტილებით არის 1 100 ლარი, ხოლო №ე-75-2-3810 გადაწყვეტილებით 7 100 ლარი.

მხარეთა შეთანხმების 10.1 პუნქტით გათვალისწინებულია სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო ქირის 0,1%, მაგრამ არანაკლებ 1 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში და იჯარის საგნად განისაზღვრა №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება (ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, მე-... მ/რ, კორპუსი №83-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი). ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კ-ას განცხადება და შეწყდა №ე-75-1-3809 და №ე-75-2-3810 გადაწყვეტილებებით გადაცემული იჯარის უფლებები. მოსარჩელის მითითებით, ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გადასახდელი საიჯარო ქირა შეადგენს 421,92 ლარსა და 2723,29 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

ზ. კ-ას განმარტებით, თავად მოსარჩელის მხრიდან დაირღვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მას არ მიეცა საშუალება ესარგებლა საიჯარო საგნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოთხოვნა საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ უსაფუძვლოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე ზ. კ-ას დაეკისრა ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ №ე-59-7-3276 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული საიჯარო ქირის 1 726,58 ლარისა და ამ თანხის საბოლოო გადახდამდე საიჯარო ქირის 4 600 ლარის 0,05% ხელშეკრულების შეწყვეტიდან, 2012 წლის 31 ივლისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მოპასუხე ზ. კ-ას დაეკისრა მოსარჩელე ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ №ე-59-8-3277 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული საიჯარო ქირის 675,62 ლარისა და ამ თანხის საბოლოო გადახდამდე საიჯარო ქირის 1 800 ლარის 0,05% 2012 წლის 31 ივლისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მოპასუხე ზ. კ-ას დაეკისრა ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ №ე-75-1-3809 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული საიჯარო ქირის 421,92 ლარისა და ამ თანხის საბოლოო გადახდამდე საიჯარო

ქირის 1 100 ლარის 0,05% 2012 წლის 3 აგვისტოდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მოპასუხე ზ. კ-ას დაეკისრა მოსარჩელე ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ №ე-75-2-3810 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული 2 723, 29 ლარისა და ამ თანხის საბოლოო გადახდამდე საიჯარო ქირის 7 100 ლარის 0,05% 2012 წლის 3 აგვისტოდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2014 წლის 22 ოქტომბერს 17:00 საათზე.

2014 წლის 22 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა აპელანტ ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელი, არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე – ზ. კ-ა, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა 22.10.2014წ. სასამართლო სხდომისა და აღნიშნულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების თაობაზე.

აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილზე, ასევე 230-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა აპელანტი, მაგრამ არ გამოცხადდა მისი მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლო გამოიტანს დაუსრულებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

– აპელანტი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე;

– არ არსებობს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინ

ნებუღია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით;

– სააპელაციო საჩივარში მითითებული და აპელანტის მონი-  
ნაალმდევე მხარის გამოუცხადებლობით დამტკიცებულად  
ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვ-  
ნას.

მოცემულ შემთხვევაში, პალატამ დაადგინა, რომ აპელან-  
ტის წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადან-  
ყვეტილების გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ  
საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო სა-  
სამართლოს სხდომის შესახებ აპელანტის მონინაალმდევე მხა-  
რეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით და მისი გამოუცხადებ-  
ლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის უცნობი იყო.

რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნის იურიდიულ მართებუ-  
ლობას, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული  
და მისი მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამ-  
ტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები საქართველოს სამოქა-  
ლაქო კოდექსის 417-ე, 418-ე, 420-ე მუხლების შესაბამისად იუ-  
რიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას პირგასამ-  
ტეხლოს განაკვეთის – 0.05%-ის ნაცვლად 0.1%-ით განსაზ-  
ღვრასთან დაკავშირებით.

პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი საა-  
პელაციო საჩივრით ითხოვს გაუქმდეს თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მაი-  
სის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სრულად დაკმა-  
ყოფილდეს სარჩელი. აპელანტი პრეტენზიას აცხადებს გადან-  
ყვეტილებაზე პირგასამტეხლოს განაკვეთის 0.1%-იდან –  
0.05%-მდე შემცირების ნაწილში და ითხოვს პირგასამტეხლოს  
ოდენობა განისაზღვროს – 0.1%-ით.

შესაბამიად, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს  
გონივრულობის შეფასება უნდა მოხდეს სააპელაციო მოთხოვ-  
ნის სამართლებრივი (იურიდიული) მართებულობის შემოწმების  
ჭრილში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე და 420-  
ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ  
სასამართლო მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის შემ-  
ცირებისას ითვალისწინებს როგორც კრედიტორის ინტერესს  
ვალდებულების შესრულების მიმართ, ასევე სარჩელის აღ-  
ძვრამდე პერიოდზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობას  
ძირითად თანხასთან მიმართებაში. პირგასამტეხლო უნდა იყოს

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭრბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – საიჯარო ქირის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – გადასახდელი საიჯარო ქირის თანხის ოდენობის და ვადის დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებულია არა გადაუხდელი თანხის, არამედ შეთანხმებული საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით, მართებულად მიიჩნია შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად და სწორად შეამცირა იგი საიჯარო ქირის თანხის 0,05%-მდე. სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას (რაც მხარის გამოუცხადებლობის მიზეზით ავტომატურად დამტკიცებულად იქნებოდა მიჩნეული), რომელიც იურიდიულად გაამართლებდა გასაჩივრებული გადანყვეტილებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გაზრდის თაობაზე აპელანტის მოთხოვნას.

ამდენად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქ. თბილისის მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადანყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ქ. თბილისის მერიამ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის მუ-

ნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება არა მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ მოწინააღმდეგე ზ. კ-ა არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც სააპელაციო შესაგებელი წარმოადგინა, არამედ აღნიშნული ასევე დადგენილად არის მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის მიერ სადავოდ არ გამხდარა არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოებში, სააპელაციო პალატის მიერ არ დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, რომლითაც დაკმაყოფილდებოდა სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი. მოცემულ საქმეში არ არსებობდა აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით პირგასამტეხლოს შემცირების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იგი ითვალისწინებს არა ნებისმიერი ოდენობის პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას, არამედ იმ ოდენობის, რომელიც ძირითად შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებაში შეუსაბამოდ მაღალია, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა მინიმალური ოდენობის პირგასამტეხლო, ქირის 0,1 %, მაგრამ არანაკლებ ერთი ლარისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული საქმის განხილვა მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობისათვის, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ კანონით პირდაპირ არ არის დადგენილი სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, სასამართლოს მიერ არ უნდა ხდებოდეს იდენტურ შემთხვევებში დაუსაბუთებლად განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ.

თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის არასწორად თქმას. კასატორის აზრით, საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გამხდარა არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოებში. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო პალატას უნდა დაეკმაყოფილებინა აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, თუმცა ამავე კოდექსის 230-ე მუხლით ზუსტად გან-

საზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

1. მოსარჩელე (აპელანტი) შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) დაკმაყოფილების შესახებ;

2. არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია 233-ე მუხლის პირველი ნაწილით;

3. სარჩელში მითითებული და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას.

ამრიგად, ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებზე დადგენილია, რომ აპელანტი, ქ. თბილისის მერია პრეტენზიას აცხადებს გადანყვეტილებაზე პირგასამტეხლოს განაკვეთის 0.1%-იდან – 0.05%-მდე შემცირების ნაწილში და ითხოვს პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს – 0.1%-ით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ პირგასამტეხლოს გონივრულობის შეფასება უნდა მოხდეს სააპელაციო მოთხოვნის სამართლებრივი (იურიდიული) მართებულობის შემოწმების ქრილში, რაც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით და ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდნენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლომ გამოიტანა არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-

დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის ასევე სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას 0,1%-დან 0,05%-მდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოდგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება, ამ ვალდებულების შესრულებამდე. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე უფლება აქვს, დაიყვანოს პირგასამტეხლო თანაზომიერების ფარგლებამდე.

პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის

ხანგრძლივობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირ-გასამტეხლოს დანიშნულებისა და მისი განაკვეთის შემცირების წინაპირობების თაობაზე არსებობს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა (იხ. სუს 2015 წლის 19 მარტის №ას-48-43-2015 განჩინება; სუს 2014 წლის 10 აპრილის №ას-23-23-2014 განჩინება; სუს 2013 წლის 20 მაისის №ას-1432-1351-2012 განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. დაუყოვნებლივ აღსასრულბელი გადანყვეტილებები

### გამჩინება

№ას-312-299-2015

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების  
შესრულება, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კრისტალის მი-  
მართ 2012 წლის 10 ოქტომბერს შპს „კ-სა“ და ვ. გ-ს შორის გა-  
ფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრუ-  
ლებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, კერ-  
ძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. №33-ში  
მდებარე მშენებარე ობიექტის მე-2 სართულზე (მიწიდან პირ-  
ველ სართულზე) „ა“-„ნ“ და „1“-„7“ ლერძების კვეთაში არსებუ-  
ლი, საჯარო რეესტრში შპს „კ-ის“ სახელზე საკუთრების უფ-  
ლებითა და ვ. გ-ის მომავალი მესაკუთრის უფლებით რეგისტრი-  
რებული 2 000 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ვ. გ-ის საკუთ-  
რებაში გადაცემა, ამავე უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთ-  
რების უფლების საჯარო რეესტრში აღრიცხვა და, ხელშეკრუ-  
ლებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გა-  
მო, მოპასუხისათვის 20 000 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის  
გადანყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-  
და, შპს „კ-ს“ დაევალა 2012 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებუ-  
ლი უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულების შესრულება, მშენებარე ობიექტზე შე-  
თანხმებული 2 000 კვ.მ ფართის მოსარჩელისათვის გადაცემა  
და მასზე ვ. გ-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში აღ-  
რიცხვა, ხოლო 20 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მო-

სარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ვ. გ-მა და ითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ვ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა ამ სამართლებრივი გარემოების შეფარდება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებშია შესაძლებელი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით მისი გამოყენება სახელშეკრულებო დავისას დასაშვებია, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

მხარეთა შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების 6.5 მუხლი ამგვარ პირობას აღიარებს, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველია.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „კ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

ვ. გ-ს აღძრული სარჩელით რამდენიმე მოთხოვნა ჰქონდა დაყენებული, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოში მას მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა არ უთხოვია, ეს წარმოადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნას, რომლის დაკმაყოფილებაც სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოში მსჯელობა დაუშვებელია;

გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია შპს „კ-ის“ მხრიდან სამართალწარმოების გაჭიანურებაზე, რაც რეალობას არ შეესაბამება, რადგანაც კანონით გათვალისწინებული საპროცესო საშუალებების (სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება) გამოყენება არ წარმოადგენს პროცესის გაჭიანურებას;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად,

გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხზე შესაძლებელი იყო მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ემსჯელა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცელიც მის მიერ უნდა ყოფილიყო გაცემული, ამასთანავე, შუამდგომლობა უნდა განხილულიყო იმავე სხდომაზე. ამ მოთხოვნის მოგვიანებით დაყენება უთანაბრდება სარჩელის მოთხოვნის გაზრდას;

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინების არსებობა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე ქმნის ტექნიკურ პრობლემას გადანყვეტილების აღსრულების ეტაპზეც, ამასთანავე, სასამართლომ საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე გადანყვეტილთა დარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგანაც შუამდგომლობის თაობაზე მონინალმდევე მხარეს არ მიეცა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა;

საგულისხმოა, რომ საქმეზე გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც ჯეროვნად იცავს მოსარჩელის ინტერესებს, ასეთ შემთხვევაში, დაუსაბუთებელია შუამდგომლობის დაკმაყოფილება, ამასთან, საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება ორივე მხარის მიერაა გასაჩივრებული და სააპელაციო საჩივრები მიღებულია განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს სააპე-

ლაციო სასამართლოს განჩინების მართლზომიერება, რომლი-  
თაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა, პირველი  
ინსტანციის სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ მიღებული  
გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის  
თაობაზე. მოპასუხე მხარე არ ეთანხმება განჩინებას და მის გა-  
უქმებას რამდენიმე საფუძვლით მოითხოვს, კერძოდ:

ა) როდესაც მხარეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღ-  
სასრულებლად მიქცევა სარჩელით არ აქვს მოთხოვნილი, ზემ-  
დგომ სასამართლოში ის ამ საკითხის დაყენებით ზრდის სასარ-  
ჩელო მოთხოვნას;

ბ) ზემდგომი წესით საქმის განხილვისას ამ საკითხის გადან-  
ყვეტა ეწინააღმდეგება კანონს, ამასთანავე ქმნის ტექნიკურ  
პრობლემას სააღსრულებო ფურცლის გაცემის კუთხით;

გ) საქმის მხარეთა დაუსრულებლად განხილვით სასამართლომ  
დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და მოწინააღმდეგე მხა-  
რეს არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი პოზიცია;

დ) მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, რადგანაც  
საქმეზე გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-  
ძიება, რაც ჯეროვნად იცავს მის ინტერესებს.

მხარის პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით  
საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 268-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილითაც კანონ-  
მდებელი გვთავაზობს კონკრეტული დავების ჩამონათვალს, რო-  
დესაც კანონიერ ძალაში შესვლამდე დასაშვებია გადაწყვეტი-  
ლების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიმართვა, ხოლო „ზ“  
ქვეპუნქტით გაფართოებულია ამ გარემოებათა წრე და სასამარ-  
თლოს ენიჭება უფლებამოსილება, მხარის თხოვნის საფუძველ-  
ზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქციოს ნებისმიერი სხვა  
გადაწყვეტილება განსაკუთრებული გარემოებების არსებობი-  
სას. ასეთ შემთხვევაში, შუამდგომლობის დაკმაყოფილების სა-  
კითხი სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული და, რო-  
გორც წესი, სასამართლო საკითხს წყვეტს საქმის გარემოებების  
ყოველმხრივი ანალიზის და იმ შესაძლო რისკების გონივრულ  
ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილე-  
ბაზე უარს შეიძლება მოჰყვეს, შესაბამისად, ნორმის მე-2 და მე-  
3 ნაწილებით დადგენილია მოვალის ინტერესების იმგვარი დაც-  
ვა, რომ მხარეს, გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლოა და-  
ეკისროს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნ-  
ველყოფა. მიუხედავად აღნიშნულისა, კანონმდებელი ამავე ნორ-  
მის 1<sup>1</sup> ნაწილით გვთავაზობს საგამონაკლისო წესს სახელშეკრუ-  
ლებო დავებთან მიმართებით და ადგენს, რომ ხელშეკრულები-

დან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

შეიძლება ითქვას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში მხარეთა შეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, წარმოადგენს რა თავისუფალი ნების გამოვლენის გზით მხარის მიერ საკუთარი უფლებების მხოლოდ დანაწესს, ასეთ შემთხვევაში, სწორედ ის მხარე ხდება იმ ყველა შესაძლო რისკის მატარებელი, რაც შეთანხმების სისრულეში მოყვანას შეიძლება მოჰყვეს. სწორედ ამითაა გამართლებული კანონმდებლის განსაკუთრებული მიდგომა სახელშეკრულებო დავასთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 10 ოქტომბრის უძრავი ქონების წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების 6.5 პუნქტით ამგვარი შეთანხმების არსებობა დასტურდება და ამ სახელშეკრულებო პირობის ნამდვილობა შპს „კ-ს“ სადავო არ გაუხდია, შესაბამისად, სახეზე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის გამოყენების წინაპირობა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „კ-ის“ არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე, ამასთანავე, მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა.

უპირველესად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. დასახებული ნორმა იძლევა ქვემდგომი წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი ყველა იმ ნორმის გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც სააპელაციო სამართალწარმოების თავში სპეციალურ რეგულაციას არ ექვემდებარება, ამასთანავე, ამ საკითხზე არსებობს საკასაციო სასამართლოს განმარტება და გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება არც დამკვიდრებულ პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-359-

334-2010, 7 ივნისი, 2010 წელი).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის მტკიცებას ზემდგომ სასამართლოში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის დაყენებით სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გაზრდად ჩაითვლება საპროცესო საშუალებათა მხოლოდ იმგვარი რეალიზაცია, რასაც შედეგად გადაწყვეტილებით დადასტურებული/აღიარებული მატერიალური უფლების ცვლილება (გადიდება) მოჰყვება, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელეს ყოველთვის მოესპობა შესაძლებლობა, ზემდგომი წესით განკარგოს საპროცესო კანონმდებლობით მიკუთვნებული უფლებები (როგორცაა, მაგ: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე გამოყენება და სხვა).

რაც შეეხება მხარის მსჯელობას სააღსრულებო ფურცლის გაცემის კუთხით წარმოშობილ შესაძლო პრობლემების თაობაზე, ამ პრეტენზიას პალატა არ შეაფასებს ორი მიზეზის გამო: ა) ამგვარი პრეტენზია შეიძლება მხოლოდ კრედიტორს გააჩნდეს, რამდენადაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მხოლოდ მის ინტერესებშია; ბ) საქმის მასალებით დასტურდება სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და აღსასრულებლად წარმართვის ფაქტი.

საკასაციო პალატა, უსაფუძვლობის გამო, ვერ გაიზიარებს შპს „კ-ის“ მსჯელობას, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საკითხის გადაწყვეტით დაირღვა მისი უფლებები შეჯიბრებითობაში მონაწილეობის მიუღებლობის კუთხით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის გადაწყვეტის წესი და საქმის განხილვის დასრულების შემდგომ შუამდგომლობის განხილვა დადგენილია მხარეთა დაუსწრებლად, მართალია, სხდომის ჩატარების შესაძლებლობას ნორმა ითვალისწინებს, მაგრამ ეს გამართლებულია მხოლოდ კონკრეტული დავის სირთულითა და საქმის სწორად გადაწყვეტის ინტერესით, მოემულ შემთხვევაში ამგვარი სირთულე სახეზე არაა, ამასთანავე, 270-ე მუხლით განსაზღვრულია რა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში კერძო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (რითაც ისარგებლა კიდევაც მხარემ) შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაზე მითითება აზრს კარგავს.

პალატა ასევე დასაბუთებულ შედავებად ვერ მიიჩნევს შპს „კ-ის“ არგუმენტს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოყენების გამო შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლების არარსებობის თაობაზე, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, კანონის ეს დანაწესი, წარმოადგენს კრედიტორის სახელშეკრულებო გარანტიას და თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეული აღმჭურველი უფლებით სარგებლობა მხოლოდ კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, გამოყენებულია თუ არა უზრუნველყოფის რაიმე ზომა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, კერძო საჩივრის უსაფუძვლობას ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს „კ-ი“ შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, თუ რატომ არ უნდა მიექცია სააპელაციო პალატას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუმცა მხარეს არ მიუთითებია იმ გარემოებაზე, ამ საპროცესო ინსტიტუტის გამოყენებას მისი რა უფლების არამართლზომიერი შელახვა მოჰყვა შედეგად, რაც კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველია.

რაც შეეხება ვ. გ-ის მიერ წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერს, პალატა თვლის, რომ ეს მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს მხარეს, რადგანაც კერძო საჩივრის საფუძვლიანობის მიმართ მას შემხებლობა არ აქვს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ვ. გ-ს დაუბრუნდეს №ა-1411-15 განცხადებაზე დართული მტკიცებულება – საჯარო რეესტრის ამონაწერი 2 ფურცლად.
4. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 10. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

### სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა

#### განჩინება

№ას-870-828-2013 15 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. რ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. ა. რ-სა და ბ. ჯ-ს სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირი თანხის 1890 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-  
რა რ. მ-მ და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. რ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობ-  
რივ;
2. ა. რ-სა და ბ. ჯ-ს სოლიდარულად დაეკისრათ 7000 აშშ დო-  
ლარის გადახდა რ. მ-ის სასარგებლოდ;
3. რ. მ-ის სარჩელი სესხის სარგებლის სახით 6160 აშშ დოლა-  
რისა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად  
7000 აშშ დოლარის 3%-ის გადახდის დაკისრების ნაწილში არ  
დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს  
ა. რ-მ და ბ. ჯ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გა-  
დაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-  
ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013  
წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. რ-ის და ბ. ჯ-ის საკასაციო

საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის განჩინებით მათი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

2014 წლის 11 აგვისტოს და ამავე წლის 21 აგვისტოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართეს კასატორებმა ა. რ-მ და ბ. ჯ-მ. კასატორებმა განმარტეს, რომ ისინი უარს ამბობენ საკასაციო საჩივარზე და ითხოვენ საქმის წარმოების შეწყვეტას, ასევე მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. რ-ისა და ბ. ჯ-ის განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მოცემულ შემთხვევაში, ა. რ-მ და ბ. ჯ-მ უარი თქვეს საკასაციო საჩივარზე, შესაბამისად, უნდა შეწყდეს საკასაციო საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 574,05 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 378-ე, 284-285-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. რ-ისა და ბ. ჯ-ის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. ა. რ-ისა და ბ. ჯ-ის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. კასატორებს – ა. რ-სა და ბ. ჯ-ს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე ა. რ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (გადახდის თარიღი – 2013 წლის 30 სექტემბერი, საგადახდო დავალება №33) – 574,05 ლარი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა**

**განჩინება**

№ას-344-325-2014

1 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ნ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. შ-ის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგის 2013 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნა-ნილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 200 ლარის ანაზღაურება 2013 წლის 9 ივლისიდან მის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ნ. ნ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ნ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ნ. ნ-ის წარმომადგენელმა ვ. ლ-ამ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

ამდენად, მოსარჩელე უფლებამოსილია, კანონით გათვალის-

წინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე. აღნიშნული წესი ვრცელდება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის უფლებაზეც და მხარეს შეუძლია, დაეთანხმოს მის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი, თუმცა კასატორის წარმომადგენელმა ვ. ლ-ამ, რომლის უფლებამოსილება, მარწმუნებლის სახელით უარი განაცხადოს სარჩელზე, დადასტურებულია საქმის მასალებში წარმოდგენილ მინდობილობით, უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე. განცხადება დამოწმებულია ადვოკატის შესაბამისი ბეჭდით, ამდენად, მხარის მიერ ნების გამოვლენაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შეწყდეს საქმის წარმოება ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებაზე, სამოქალაქო საქმეზე – ნ. ნ-ის სარჩელის გამო ი. შ-ის მიმართ აღიმენცის დაკისრების შესახებ.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 11.საქმის წარმოების განახლება

### სასამართლო გადაწყვეტილების გათივად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველზე

#### განჩინება

№ა-1524-ბ-12-2014

10 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2012 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-ის სარჩელი მოპასუხე გ. ნ-ის მიმართ, სასამართლოში გაკეთებული არასწორი და არარეალური ფაქტის მოპასუხის მიერ უარყოფის, აგრეთვე, ამ უკანასკნელის მიერ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. დ-მა. განმცხადებელმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. დ-მა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინება.

2014 წლის 20 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა გ. დ-მა, რომელმაც მოითხოვა უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით გ. დ-ის განცხადება ამავე სასამართლოს 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველად.

2014 წლის 8 მაისს გ. დ-მა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობა დაუშვებელია, თუმცა მოსამართლე პ. ქათამაძემ მოცემული საქმის განხილვაში მონაწილეობა ორჯერ მიიღო, პირველად იგი საქმის განხილვაში მონაწილეობდა 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების მიღებისას. ამასთან, სამოქალაქო საქმეების საკასაციო წესით განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ, ხოლო დასახელებულმა მოსამართლემ საქმე ერთპიროვნულად განიხილა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გ. დ-ის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ. ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე; გ. პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე.

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველად განმცხადებელი მიუთითებს შემდეგ ორ გარემოებაზე:

1. მოსამართლე პ. ქათამაძემ მოცემული საქმე განიხილა ორჯერ, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლიდან გამომდინარე;

2. დასახელებულმა მოსამართლემ საქმე ერთპიროვნულად განიხილა, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საქმეების საკასაციო წესით განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლზე და განმარტავს, რომ მითითებული ნორმა ადგენს შემდეგ წესს: ერთი და იგივე მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ერთი და იგივე საქმის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, ანუ მოსამართლეს ეკრძალება საქმის განხილვაში მონაწილეობა, თუ იგი ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა ინსტანციის და არა იმავე ინსტანციის სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებულმა მოსამართლემ ორჯერ მიიღო მონაწილეობა ერთი და იგივე საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვისას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის დარღვევას არ წარმოადგენს.

დაუსაბუთებელია ასევე განმცხადებლის ის მოსაზრებაც, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა 2014 წლის 28 მარტის განჩინება ერთპიროვნულად გამოეტანა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. მითითებული ნორმა არ განსაზღვრავს, თუ რა ვადაში უნდა შემოწმდეს განცხადების დასაშვებობა. ეს ნორმა ასევე არ ადგენს, დასაშ-

ვებობის შემონმება მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა განახორციელოს, თუ სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ. ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად უნდა მიემართოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს მომხსენებელი მოსამართლე წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხს ერთპიროვნულად იხილავს მომხსენებელი მოსამართლე, შესაბამისად, მას, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ განაჩივრებული განჩინებით განუხილველად დარჩა გ. დ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ასეთი განჩინების გამოტანა კი, როგორც აღინიშნა, ერთპიროვნულად შეუძლია მომხსენებელ მოსამართლეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გ. დ-ის განცხადების დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების განახლების კანონიერი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. დ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა  
და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის  
განახლების საფუძვლები**

**განჩინება**

№ას-1347-1385-2014

2 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-  
ბის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ჩ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ-ის“ მიმართ  
უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2014 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩე-  
ლი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა გ. ჩ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის  
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის სა-  
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014  
წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება; შპს „გ-სათვის“ 61075 ლა-  
რის გადახდის სანაცვლოდ გ. ჩ-ი ცნობილი იქნა ქ. ბათუმში, ... ქ.  
№9-ში მდებარე №3 ბინის მესაკუთრედ.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით  
გაასაჩივრა შპს „გ-მა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით შპს „გ-ის“ საკასა-  
ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაისის  
სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012  
წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება.

2013 წლის 20 ივნისს ზ. ჩ-მა განცხადებით მიმართა ქუთაი-  
სის სააპელაციო სასამართლოს ამავე სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინებით ზ. ჩ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ჩ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ზ. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ზ. ჩ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №9, ბინა №3-ში მდებარე სადავო ქონება საკუთრების უფლებით ირიცხებოდა შპს „გ-ის“ სახელზე.

ზ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის 2012 წელს გაფორმებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წელს, ზ. ჩ-მა და შპს „გ-მ“ გამოხატეს ნება და აიღეს ვალდებულება, მომავალში დაიდოს ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ... ქ. №9, ბინა №3-ში მდებარე საცხოვრებელ ბინასა და მიწის ნაკვეთზე, რომლის ერთ-ერთი მესაკუთრეა ზ. ჩ-ი, იმ პირობით, რომ მეორე მხარე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ააშენებდა მრავალბინიან სახლს და გადასცემდა ამავე საცხოვრებელ სახლში საცხოვრებელ ბინას, როგორც ნასყიდობის საფასურს. სწორედ აღნიშნული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება გახდა საფუძველი საჯარო რეესტრში სადავო უძრავ ქონებაზე შპს „გ-ის“ საკუთრების შესახებ ჩანაწერისა, რომელსაც ახლდა საცხოვრებელი ბინის ზ. ჩ-ზე გადაცემის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის

21 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „გ-სთვის“ 61 075 ლარის გადახდის სანაცვლოდ გ. ჩ-ი ცნობილი იქნა ქ. ბათუმში, ... ქ. №9, ბინა №3-ში მდებარე ბინის მესაკუთრედ. ანუ იმ ბინისა, რომელზედაც გარკვეული უფლება-მოვალეობები გააჩნდათ როგორც შპს „გ-ს“, ისე ზ. ჩ-ს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო ზ. ჩ-ის საკუთრების უფლებასა და მის ინტერესებს. ვინაიდან

მითითებული საქმის განხილვისას ზ. ჩ-ი არ ყოფილა მოწვეული მხარედ, არსებობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე გ. ჩ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმჯელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობის თაობაზე. მითითებული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუ მხარეს შეეძლო ამავდროულად პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით უსაფუძვლოა ზ. ჩ-ის მოთხოვნა გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებში მისი მხარის სტატუსით მონაწილეობის შესახებ მაშინ, როდესაც აღნიშნულ დავაში წარმოდგენილი იყვნენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული ურთიერთობის სუბიექტები – გ. ჩ-ი, როგორც სადავო ქონების მოსარგებლე და შპს „გ-ი“, როგორც აღნიშნული ქონების მესაკუთრე, ხოლო ზ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები ვერ გახდებოდა სასამართლოს მსჯელობის საგანი მათი დავის საგანთან შემხებლობის არარსებობის გამო.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობის შესახებ ზ. ჩ-მა შეიტყო ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კა-

ნონიერ ძალაში შესვლამდე და შესაბამისად, მას ჰქონდა შე-  
საძლებლობა, განცხადებით მიემართა შესაბამისი ინსტანციის  
სასამართლოსთვის. ბათუმის რაიონული პროკურორისადმი ზ.  
ჩ-ის წარმომადგენლის ე. მ-ის მიერ მიწერილი 2012 წლის 17 დე-  
კემბრის №11/27/ს-12 წერილით უტყუარად დგინდება გ. ჩ-სა  
და შპს „გ-ს“ შორის ქ. ბათუმში, ... №9-ში მდებარე ბინა №3-ში  
არსებული 74.46 კვ.მ ფართობის თაობაზე მიმდინარე სამოქა-  
ლაქო დავის შესახებ ზ. ჩ-ის ინფორმირებულობის ფაქტი. მითი-  
თებული წერილით ირკვევა, რომ ზ. ჩ-ის ინტერესების დამცვე-  
ლის პროკურორისადმი მიმართვა დაკავშირებული იყო გ. ჩ-ის  
განცხადების საფუძველზე აღძრულ სისხლის სამართლის საქ-  
მესთან, რომლის შესახებაც, წერილის მიხედვით, ზ. ჩ-ს ეცნო-  
ბა გ. ჩ-თან სამოქალაქო დავაში ჩაბმულ შპს „გ-ის“ წარმომად-  
გენლობის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის წარ-  
დგენილი №1247830 ცნობის საფუძველზე. აღნიშნული ცნობა  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარედგინა ჯერ კიდევ  
საქმის განხილვის ეტაპზე, ხოლო შპს „გ-ის“ წარმომადგენლებ-  
მა ზ. ჩ-ს აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობეს. ამას-  
თან, ალოგიკურია, რომ შპს „გ-ს“ მიეღო გადაწყვეტილება სის-  
ხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ზ. ჩ-  
ის ინფორმირების შესახებ და არ ეცნობებინა სასამართლოში  
სამოქალაქო საქმისწარმოების დაწყების თაობაზე მაშინ, რო-  
დესაც სადავო ქონებაზე კომპანიის უფლებას საფრთხე შეექ-  
მნა სწორედ გ. ჩ-ის მიერ სამოქალაქო დავის ინიცირების შედე-  
გად და სასამართლოს მიერ შპს „გ-ის“ სანინალმდეგო გადან-  
ყვეტილების გამოტანის შემთხვევაში კომპანიას წარმოექმნე-  
ბოდა მოთხოვნის უფლება ზ. ჩ-ის მიმართ, რომლისგანაც შეი-  
ძინა უფლებრივი ნაკლის მქონე ქონება. ამდენად, აშკარა იყო,  
რომ შპს „გ-ს“ ჰქონდა ინტენსიური ურთიერთობები ზ. ჩ-თან გ.  
ჩ-ის მიერ შპს „გ-ის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შე-  
ტანის მომენტიდანვე.

კერძო საჩივრის ავტორმა კერძო საჩივარს დაურთო ზ. ჩ-ის  
მიერ სისხლის სამართლის №171280512002 საქმეზე მიცემული  
ჩვენების ასლი, რომლითაც, საჩივრის ავტორის აზრით, დას-  
ტურდება ზ. ჩ-ის ინფორმირებულობა გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შო-  
რის მიმდინარე სამოქალაქო დავის შესახებ ჯერ კიდევ ბათუ-  
მის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გა-  
დანყვეტილების მიღების დროისთვის. ამდენად, ზ. ჩ-ს შეეძლო  
მოეთხოვა განსახილველ დავაში შესაბამისი საპროცესო სტა-  
ტუსით მისი ჩაბმა ჯერ კიდევ 2012 წელს – საქმის განხილვის  
საწყის ეტაპზე, თუმცა მან 2013 წლის 20 ივნისის განცხადების

საფუძველზე მოითხოვა უკვე კანონიერ ძალაში შესული გადან-  
ყვეტილების ბათილად ცნობა და საქმისწარმოების განახლება,  
რაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით,  
შესაბამისი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპი-  
რობო საფუძველს წარმოადგენდა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, იმ გარემოების და-  
სადასტურებლად, რომ ზ. ჩ-ის უფლებებსა და კანონით დაცულ  
ინტერესთან შემხებლობაში მყოფი სასამართლო გადანყვეტი-  
ლების არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა სწორედ  
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, აპელი-  
რება კეთდება ზ. ჩ-ის წარმომადგენლის ე. მ-ისა და შპს „გ-ის“  
წარმომადგენლის მ. ს-ის მიერ 2013 წლის 11 ივნისს შედგენილ  
ცნობაზე, რომლის თანახმადაც, შპს „გ-ის“ წარმომადგენელმა  
ზ. ჩ-ის წარმომადგენელს 2013 წლის 11 ივნისს გადასცა ქუთაი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013  
წლის 10 მაისის განჩინება. საჩივრის ავტორის აზრით, თავის  
მხრივ, ის გარემოება, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შე-  
სული გადაწყვეტილების გადაცემა მოხდა საქართველოს უზე-  
ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასაბუ-  
თებული განჩინების ჩაბარებისთანავე, კიდევ ერთხელ ადას-  
ტურებს შპს „გ-სა“ და ზ. ჩ-ს შორის მუდმივი კომუნიკაციის არ-  
სებობის ფაქტს. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც წარმოდგე-  
ნილია აღნიშნული მტკიცებულების საპირისპირო, მისი გამაბა-  
თილებელი მტკიცებულებები, რომლებითაც უტყუარად დას-  
ტურდება ზ. ჩ-ის მიერ გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის არსებული  
სამოქალაქო დავის შესახებ სასამართლოში საქმის განხილვის  
პერიოდში ცოდნის ფაქტი, ზემოაღნიშნული ცნობა წარმოად-  
გენს ხელოვნურად შექმნილ დოკუმენტს საიმისოდ, რომ დარ-  
ღვეულად არ ჩაითვალოს კანონიერ ძალაში შესული სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმო-  
ჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესა-  
ხებ განცხადების წარდგენის საქართველოს სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზ-  
ღვრული ერთ თვიანი ვადა. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს,  
რომ განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ამა-  
ვე კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც,  
გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს  
შეეძლო შესაბამისი საფუძველების წამოყენება საქმის განხილ-  
ვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან სა-

კასაციო ინსტანციის სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადანყვეტილების ბათილად ცნობის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლში. კერძოდ, ამ ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადანყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალის-

წინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის საქმის წარმოების განახლების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, რომლის შესაბამისად, სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება განაახლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას მასზე, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუ მხარეს შეეძლო ამავდროულად პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნულ დასკვნას ამყარებს მის მიერ წარმოდგენილ 2012 წლის 30 ნოემბრის №0002640889 მოწმის დაკითხვის ოქმსა და 2012 წლის 17 დეკემბრის №11/27/ს-12 წერილზე (რომელიც ზ. ჩ-ის წარმომადგენელმა, ე. მ-ემ მისწერა ბათუმის რაიონულ პროკურორს) და აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტებით დგინდება გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის ქ. ბათუმში, ... №9-ში მდებარე ბინა №3-ში არსებული 74.46 კვ.მ ფართობის თაობაზე მიმდინარე სამოქალაქო დავის შესახებ ზ. ჩ-ის ინფორმირების ფაქტი. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, ზ. ჩ-ს შეეძლო მოეთხოვა დავაში შესაბამისი საპროცესო სტატუსით ჩაბმა ჯერ კიდევ 2012 წელს – საქმის განხილვის საწყის ეტაპზე. აღნიშნული უფლება კი მას არ გამოუყენებია.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ 2012 წლის 30 ნოემბრის №0002640889 მოწმის დაკითხვის ოქმითა და 2012 წლის 17 დეკემბრის №11/27/ს-12 წერილით დგინდება ზემოაღნიშნული დავის თაობაზე ზ. ჩ-ის ინფორმირების ფაქტი.

2012 წლის 30 ნოემბრის №0002640889 მოწმის დაკითხვის ოქმით ირკვევა, რომ ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის მიერ ზ. ჩ-ი დაკითხულ იქნა მოწმის სახით. ჩვენების მი-

ცემისას მან განაცხადა, რომ იცოდა გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის არსებული დავის თაობაზე და იმის შესახებაც, რომ აღნიშნული დავა გ. ჩ-მა წააგო ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

რაც შეეხება 2012 წლის 17 დეკემბრის №11/27/ს-12 წერილს, აღნიშნული წერილით ზ. ჩ-ის ადვოკატმა ე. მ-ემ ბათუმის რაიონულ პროკურორს აცნობა, რომ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილება ახორციელებდა გამოძიებას გ. ჩ-ის განცხადების საფუძველზე აღძრულ №171280512002 სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით არსებულ ფაქტზე. ამის შესახებ ზ. ჩ-ს ეცნობა გ. ჩ-ის სამოქალაქო დავაში ჩართულ მოპასუხე შპს „გ-ის“ წარმომადგენლების მიერ. ამავე წერილში განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გ. ჩ-მა სასამართლო პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში წააგო.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ზ. ჩ-მა არ გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული შესაბამისი საპროცესო სტატუსით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საქმის წარმოების ეტაპზე, საკასაციო პალატა აღნიშნულ მსჯელობას უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს:

საქმის მასალების კვლევის შედეგად დასტურდება და თავად გ. ჩ-იც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ზ. ჩ-მა 2012 წლის 20 დეკემბერს, გ. ჩ-სა და შპს „გ-ს“ შორის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას, კერძოდ კი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე საქმის განხილვისას, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა აღნიშნულ დავაში მესამე პირად ჩართვისა და საქმის არსებითად განხილვისთვის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა საკასაციო სასამართლომ ისე მიიღო საქმე არსებითად განსახილველად და გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ არ უმსჯელია აღნიშნულ შუამდგომლობაზე. 2013 წლის 10 მაისის განჩინებით არ დააკმაყოფილა შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ზ. ჩ-მა თავისი უფლების რეალიზება (საქმეში მხარის სტატუსით ჩაბმა) ვერ განახორციელა აღნიშნული საქმის განხილვის დასრულებამდე, მან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის

წარმოების განახლების მოთხოვნით მიმართა სააკპელაციო სასამართლოს საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვა-დასრულების შემდეგ, საბოლოო განჩინების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში, 2013 წლის 20 ივნისს. უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოო განჩინების მიღების თაობაზე ზ. ჩ-ის ინფორმირების ფაქტს ადასტურებს განცხადებაზე ცნობის სახით დართული 2013 წლის 11 ივნისს შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს ერთის მხრივ, ზ. ჩ-ის წარმომადგენელი ე. მ-ე და მეორეს მხრივ, შპს „გ-ის“ წარმომადგენელი მ. ს-ე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ცნობა არის ხელოვნურად შექმნილი დოკუმენტი საიმისოდ, რომ დარღვეულად არ ჩაითვალოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების კანონით დადგენილი ერთ თვიანი ვადა. ზემოაღნიშნულ ცნობაში ასახული ფაქტობრივი გარემოებების გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, უსაფუძვლოა მისი ამგვარი მსჯელობა.

პალატა ასევე უსაფუძვლობს გამო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას ზ. ჩ-ის მოცემულ დავასთან შემხებლობის არარსებობის თაობაზე და მიუთითებს საქმეში არსებულ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლითაც განსაზღვრულია ზ. ჩ-ისა და შპს „გ-ის“ უფლება-მოვალეობები და ის პირობები, თუ რა შემთხვევაში დაიდება მხარეთა შორის ძირითადი ხელშეკრულება. კერძოდ, აღნიშნული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო იმ პირობით, რომ ზ. ჩ-ის ბინის ათვისების გზით აშენდებოდა მრავალბინიანი სახლი. სახლის აშენების შემდგომ კი შპს „გ-ი“ და ზ. ჩ-ი დადებდნენ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას და სადავო ბინის ნასყიდობის ფასის სანაცვლოდ ზ. ჩ-ი მიიღებდა საცხოვრებელ ფართს. საქმის მასალებით დადგენილი არ არის შპს „გ-ის“ მიერ ხელშეკრულების შესრულების ფაქტი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ქუთაისის სააკპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს „გ-სთვის“ 61 075 ლარის გადახდის სანაცვლოდ გ. ჩ-ი ცნობილი იქნა ქ. ბათუმში, ... ქ. №9 ბინა №3-ში მდებარე სადავო ბინის მესაკუთრედ, ანუ იმ ბინისა, რომელზედაც გარკვეული უფლება-მოვალეობები გააჩნდა ზ. ჩ-ს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო ზ. ჩ-ის საკუთრების უფლებასა და მის ინტერე-

სებს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ არსებობდა მითითებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ჩ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილების გათილად ცნობისა  
და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის  
განახლების საფუძვლები**

**განჩინება**

№ა-437-ა-4-2015

7 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალდებულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ და ც. მ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „... სახელობის კლინიკის“ და მისი დირექტორის – დ. ხ-ის მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, შპს „... სახელობის კლინიკის“ 39% წილის მფლობელი პარტნიორები მოსარჩელები არიან. საზოგადოების 2013 წლის 8 და 10 აპრილს ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2012 წლის დივიდენდის განაწილების თაობაზე, თუმცა მისი ნაწილი პარტნიორებს იმ მოტივით არ ჩაერიცხათ, რომ გასანაწილებელი თანხა საზოგადოებას სადაზღვევო კომპანიებიდან უნდა მიეღო. საზოგადოების დირექტორის 2013 წლის 26 ივლისის წერილით მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული თანხები შპს „... სახელობის კლინიკას“ უკვე ჰქონდა მიღებული, მაგრამ დირექტორი დავით ხონელიძე უკვე ერთი წელი იყო, რაც მათ კუთვნილ დივიდენდებს პარტნიორებს იმ მოტივით არ ურიცხავდა, რომ აღნიშნულის თაობაზე პარტნიორთა კრებას უნდა ემსჯეულა.

მოსარჩელების განმარტებით, მათ დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით შეამოწმეს საზოგადოების დირექტორის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის ანგარიშის სისწორე, რომლის შედეგად არაერთი არსებითი ხასიათის შეცდომა დაფიქსირდა. დადგინდა, რომ აღნიშნული შეცდომების შედეგად პარტნიორებმა მიიღეს 54637 ლარით ნაკლები დივიდენდი. სწორედ აღნიშნული თანხის 39%-ი – 21308 ლარი უნდა ჩაერიცხა საზოგა-

დოების დირექტორის მათთვის და, ვინაიდან ამ მოვალეობას უკანონოდ არ ასრულებდა იძულებულნი გახდნენ ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიემართათ.

მოსარჩელები ასევე ითხოვენ წარმომადგენლის და წლიური ანგარიშის შემოწმებაში აუდიტორისათვის გადახდილი თანხის – 4000 ლარის საზოგადოებისათვის დაკისრებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ი. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელი. შპს „... სახელობის კლინიკის“ დირექტორს – დ. ხ-ეს დაევალა მოსარჩელების ანგარიშებზე 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდების – 1065 ლარის ჩარიცხვა, საზოგადოებაში მათი კუთვნილი წილების პროპორციულად. შპს „... სახელობის კლინიკას“ მოსარჩელების სასარგებლოდ დაევალა გადახდილი აუდიტის მომსახურების თანხის – 3000 ლარის და სახელმწიფო ბაჟის – 730 ლარის ანაზღაურება. ასევე, დ. ხ-ეს დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების თანხის – 800 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „... სახელობის კლინიკის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ისა და ც. მ-ის სარჩელი – მისაღები დივიდენდის დარჩენილი თანხის – 1065 ლარის, წარმომადგენლისა და აუდიტორისათვის გადახდილი თანხების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ი. მ-ეს, დ. შ-ას, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ეს, ლ. ხ-ესა და ც. მ-ეს შპს „... სახელობის კლინიკის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ 163 ლარის და ადვოკატის მომსახურებისთვის განუული ხარჯის სანაცვლოდ 160 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ და ც. მ-ემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის, ც. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება აუდიტის შემოწმებისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „... სახელობის კლინიკას“ დაეკისრა კასატორთა სასარგებლოდ აუდიტის შემოწმებისათვის გაღებული ხარჯის – 3000 ლარის, ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 760 ლარის და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 285 ლარის გადახდა; ი. მ-ეს, დ. შ-ას, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ეს, ლ. ხ-ეს, ც. მ-ეს დაუბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 730 ლარი; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2015 წლის 12 თებერვალს შპს „... სახელობის კლინიკის“ წარმომადგენელმა დავით შევლიძემ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა. განმცხადებლის მითითებით, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 28 ნოემბერს „კლინიკაში“ ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომელიც შეეხო 2009-2014 წლებში საზოგადოების საქმიანობას, გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლის საფუძველზეც კლინიკას ბიუჯეტის სასარგებლოდ სულ გადასახდელად დაეკისრა 1408 ლარი, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება თითქმის აბსოლუტური სიზუსტითაა ნაწარმოები. მოსარჩელეების მიერ ჩატარებული აუდიტის მონაცემები არ ემთხვევა შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტური შემოწმების შედეგებს. დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, ერთობლივი შემოსავალი 2271084 ლარს შეადგენს. შემოწმების თანახმად, ერთობლივი შემოსავალი ასევე 2271084 ლარს შეადგენს და სხვაობა არ არსებობს. საქმეში არსებული აუდიტის დასკვნის თანახმად, გამოქვითვა უნდა იყოს 1747,092 ლარი. შემოწმების თანახმად, გამოქვითვა 1755.636 ლარი უნდა იყოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მი-

იჩნევს, რომ შპს „... სახელობის კლინიკის“ განცხადება გადან-  
ყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შე-  
სახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის მიხედ-  
ვით გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩე-  
ნილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ  
განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წე-  
სების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლე-  
ბიც ამ თავშია დადგენილი.

იმავე კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი,  
თუ აღმოჩნდება, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ  
განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო გამოიტანს განჩინე-  
ბას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული განცხა-  
დება უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი  
ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული  
გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ  
გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით,  
თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკი-  
ცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი  
სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის  
ხელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანას. იმავე მუხლის მე-  
3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“  
ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება  
დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შე-  
საძლებლობა საქმის განხილვისა და გადანყვეტილების მიღე-  
ბის დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე  
სარჩელზე გამოტანილი გადანყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ  
გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული  
ნორმის მიზნებისათვის არ იგულისხმება მხოლოდ ის კონკრე-  
ტული მტკიცებულება, რომელიც მხარეს საქმის წარმოების გა-  
ნახლების საფუძვლად მიაჩნია, არამედ, სასამართლომ ასევე  
უნდა შეამოწმოს, განმცხადებელს საქმის განხილვისა და გა-  
დანყვეტილების მიღების დროს რამდენად ჰქონდა საშუალე-  
ბა, მიეთითებინა ახალ გარემოებებზე ან მისი პოზიციის გასამ-  
ყარებლად მტკიცებულებები წარედგინა. სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება  
მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარ-  
გებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, და-

ასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა განსახვავდება მოსარჩელეთა მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებისაგან. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს საქმის განხილვის დროს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ჩაეთარებინა ალტერნატიული შემოწმება და წარმოედგინა დასკვნა, რომელიც მოსარჩელეთა მტკიცებულებას დაუპირისპირებოდა, მაგრამ მხარეს ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია, რაც საქმის განხილვის დასრულების შემდეგ ახალი დასკვნის წარმოდგენასა და ამ საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას გამოორიცხავს.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელეთა მიერ ჩატარებული აუდიტის ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა, ვინაიდან, შემოწმების შედეგად, ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დარღვევებს სრულად არ გამოორიცხავს. სწორედ დარღვევების არსებობის გამო დაეკისრა მოპასუხეს ჯარიმა 1408 ლარი. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს მონინალმდეგე მხარის მითითებას, რომ შპს „... სახელობის კლინიკის“ დეკლარირებულ მონაცემებში შესწორება მოსარჩელეთა მიერ აუდიტის ჩატარების შემდეგ მოხდა, რასაც შესაბამისი დეკლარაციები ადასტურებს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგზე გააღწიას ვერ მოახდენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 430-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. შპს „... სახელობის კლინიკის“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველზე

### განჩინება

№ა-699-ბ-3-2014

6 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით:

1. არ დაკმაყოფილდა მ. თ-ას სარჩელი, რომლითაც მან მოითხოვა: ა. ნოტარიუს ლ. ო-ის მიერ 2012 წლის 24 იანვარს ი. წ-ის სამკვიდრო ქონებაზე ბ. გ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა და ბ. 2012 წლის 20 ივნისს, ბ. გ-ესა და ქ. ჯ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. გ-ის სარჩელი:

ა. ბათილად იქნა ცნობილი ვ. წ-ის მიერ 1992 წლის 18 დეკემბერს ნ. წ-ისა და მ. თ-ას სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს მ. ბ-ის მიერ დამოწმებული ანდერძი;

ბ. ბათილად იქნა ცნობილი აგრეთვე, ნოტარიუს ხ. შ-ის მიერ 2011 წლის 17 ივნისს 1994 წლის 6 იანვარს გარდაცვლილი ვ. წ-ის

სამკვიდრო ქონებაზე მ. თ-ას სასარგებლოდ გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა;

3. არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა ნოტარიუს მ. ბ-ის დავალდებულების შესახებ, ბათილად ეცნო სანოტარო აქტი ანდერძის ძალაში შესვლის თაობაზე; ამოეშალა ანდერძი სანოტარო რეესტრის ჩანაწერებიდან და გადაეცა ეს მონაცემები სანოტარო პალატისათვის, აგრეთვე, ნოტარიუს ხ. შ-ის დავალდებულების თაობაზე, ამოერიცხა ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა სანოტარო რეესტრის მონაცემთა ბაზრიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მ. თ-ას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მ. თ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ხარვეზის შეუფასებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მ. თ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინება.

2014 წლის 27 თებერვალს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. თ-ამ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. მანვე მოითხოვა ამავე განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის განჩინებით შეჩერდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. თ-ას განცხადების განხილვა, განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. თ-ას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკვასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა განახლდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. თ-ას განცხადების განხილვა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებათა განხილვის რიგითობას, კერძოდ, თუ ერთდროულად შემოსულია განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ ჯერ უნდა განიხილოს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, ხოლო, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა უნდა შეაჩეროს, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

თუ გადაწყვეტილება ბათილად იქნება ცნობილი და საქმის წარმოება განახლდება, მაშინ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა აღარაა საჭირო და ეს განცხადება განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, მაშინ სასამართლომ უნდა განახლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ შეჩერებული განცხადების განხილვა.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. თ-ას განცხადება ამავე სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე, უნდა განახლდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. თ-ას განცხადების განხილვა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. განახლდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. თ-ას განცხადების განხილვა;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველზე**

**განჩინება**

№ა-699-ა-3-2014

18 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით:

1. არ დაკმაყოფილდა მ. თ-ას სარჩელი, რომლითაც მან მოითხოვა: ა. ნოტარიუს ლ. ო-ის მიერ 2012 წლის 24 იანვარს ი. წ-ის სამკვიდრო ქონებაზე ბ. გ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა და ბ. 2012 წლის 20 ივნისს, ბ. გ-ესა და ქ. ჯ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. გ-ის სარჩელი:

ა. ბათილად იქნა ცნობილი ვ. წ-ის მიერ 1992 წლის 18 დეკემბერს ნ. წ-ისა და მ. თ-ას სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს მ. ბ-ის მიერ დამოწმებული ანდერძი;

ბ. ბათილად იქნა ცნობილი აგრეთვე, ნოტარიუს ხ. შ-ის მიერ 2011 წლის 17 ივნისს 1994 წლის 6 იანვარს გარდაცვლილი ვ. წ-ის სამკვიდრო ქონებაზე მ. თ-ას სასარგებლოდ გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა;

3. არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა ნოტარიუს მ. ბ-ის დავალებულების შესახებ, ბათილად ეცნო სანოტარო აქტი ანდერძის ძალაში შესვლის თაობაზე; ამოეშალა ანდერძი სანოტარო რეესტრის ჩანაწერებიდან და გადაეცა ეს მონაცემები სანოტარო პალატისათვის, აგრეთვე, ნოტარიუს ხ. შ-ის დავალებულების თაობაზე, ამოერიცხა ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა სანოტარო რეესტრის მონაცემთა ბაზრიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მ. თ-ას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მ. თ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მ. თ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინება.

2014 წლის 27 თებერვალს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. თ-ამ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

განცხადება მოტივირებულია იმით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარისათვის ცნობილი გახდა და მან მოიპოვა ისეთი მტკიცებულება, რომელიც განსხვავებულად ასაბუთებს და წყვეტს მსგავსი სახის პროცესუალურ დავას, კერძოდ, საუბარია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებაზე (საქმეზე №ას-231-223-2013). განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული მტკიცებულება ადასტურებს მ. თ-ას მიმართ მიღებული განჩინების კანონსაწინააღმდეგობას, რადგან მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება იმავე სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მ. თ-ას განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ ნორმით კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმებისას, ამასთანავე, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები არსებობდეს საქმის განხილვის დროს (გადაწყვეტილების გამოტანამდე) და არა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ამასთან, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ ამ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ მხარისათვის ცნობილი გახდეს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; და ბოლოს,

მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარემ უნდა დაადასტუროს მის მიერ ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების დროულად წარუდგენლობაში ბრალის არარსებობის ფაქტი.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლები კიდევ რომ დადასტურდეს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ ორი აუცილებელი პირობის არსებობისას: 1. ფაქტი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე; 2. მხარემ არ იცოდა ამ ფაქტის თაობაზე, ამასთან, თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. აქედან ნათელია, რომ კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებზე მითითების შესაძლებლობაც მხარეს გააჩნდა საქმის წარმოების დასრულებამდე.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად და შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმების საფუძველად მიიჩნევს სხვა საქმეზე ამავე სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას. განმცხადებლის მოსაზრებით, ამ განჩინებით სხვაგვარადაა გადაწყვეტილი მსგავსი პროცესუალური საკითხი, რაც ადასტურებს გასაჩივრებული განჩინების უკანონობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი არ ითვალისწინებს საქმის მასალების მიხედვით სამართლის ნორმების გამოყენების სისწორის გადამოწმებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუნდაც საკასაციო პალატის გადაწყვეტილება (განჩინება) რომელიმე ნორმის განმარტების თაობაზე ეწინააღმდეგებოდეს ამავე ნორმის შესახებ სხვა პალატის განმარტებას, ეს ვერ გახდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან ამ საფუძველით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. განმცხადებლის მიერ მითითებული საფუძველით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა რომ დაგვეშვა, ეს გამოინვევდა კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის პროცესუალური კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი (საზედამხედველო წარმოების მსაგვის) სახეობის შემოღებას (საკასაციო პალატის ზემოხსენებული განმარტება ეფუძნება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას, იხ. სუსგ, 17.07.2003წ. საქმე №3გ/ად-187-კ-02). გარდა ამისა, ზემოაღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა რომც დაუშვავთ, წარმოდგენილი განცხადება მაინც ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან განმცხადებელი ვერ ასაბუთებს, რომ მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მითითებინა იმ განჩინებაზე, რომელიც მხოლოდ ახლა წარმოადგინა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების განახლების მსურველმა პირმა უნდა დაადასტუროს მის მიერ ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების დროულად წარუდგენლობაში ბრალის არარსებობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული განჩინება არ შეიცავს რომელიმე ნორმის გასაჩივრებული განჩინებისაგან განსხვავებულ განმარტებას, უფრო მეტიც, განმცხადებლის მიერ მითითებულ განჩინებაში საერთოდ არაა განმარტებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.7-ე მუხლი, რომელსაც დაეყრდნო გასაჩივრებული განჩინება. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული განჩინება შეეხება სრულიად განსხვავებულ კაზუსს, ვიდრე ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მოცემული, შესაბამისად, ეს განჩინება თავის დროზეც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ის ვერ გამოიწვევდა განმცხადებლისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## დაადგინა:

1. მ. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების გათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლები

### განჩინება

№ ა-1753-ა-14-2014

10 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით:

1. დ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. მოპასუხე შპს „კომპანია ა-ს“ დ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2012 წლის აპრილის თვის სახელფასო დავალიანების – 200 ლარის გადახდა;
3. დ. ნ-ის სარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ნ-მა, რომელმაც მოითხოვა ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

1. დ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. მოპასუხე შპს „კომპანია ა-ს“ დ. ნ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით დაეკისრა 6520 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „კომპანია ა-მა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის განჩინებით შპს „კომპანია ა-ის“ საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუზილველად.

2014 წლის 3 ივნისს შპს „კომპანია ა-მა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა. განმცხადებელმა მოითხოვა ასევე გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

განცხადების საფუძვლები:

შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელი მ. თ-ი კანონით დადგენილ ვადაში არაერთხელ გამოცხადდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, რა დროსაც იგი შიდა ტელეფონით უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს. მიუხედავად ამისა, წარმომადგენელმა ხსენებული გადაწყვეტილების მოპოვება ვერ შეძლო, რადგან იგი მზად არ იყო. თანაშემწემ კომპანიის წარმომადგენელს გადასცა თავისი მობილური ტელეფონის ნომერი – 577 ... .. და განუცხადა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შემდეგ თავად დაუკავშირდებოდა. კომპანიის წარმომადგენელი სარგებლობს ტელეფონის ორი ნომრით, კერძოდ, პირადი ნომერია – 593 ... .., ხოლო კორპორატიული ნომერია – 599 ... .. როგორც მაგთიკომის ოფისიდან მოპოვებული ხსენებული ნომრების დეტალური ამონაწერით ირკვევა, მოსამართლის თანაშემწეს არც ერთ ნომერზე არ დაურეკავს. მ. თ-ის ტელეფონზე არც სააპელაციო სასამართლოს სტაციონალური ტელეფონიდან შესულა ზარი. ის გარემოება, რომ მ. თ-ი 2013 წლის 1 დეკემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით არაერთხელ გამოცხადდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მარტივი დასადგენია. 26 დეკემბერს სასამართლოში მისულმა მ. თ-მა, მოსამართლის თანაშემწის ტელეფონის ნომერზე (577 ... ..) განახორციელა ზარი

და შეატყობინა მისი მისვლის შესახებ. სამწუხაროდ, მაგთიკომის ოფისმა განმცხადებელს უარი უთხრა მომსახურე ანტენის ნომრებისა და ადგილმდებარეობის დეტალურ ინფორმაციაში მითითებაზე. ასეთი ინფორმაციის ქონა აუცილებელია იმის დასადგენად, რომ მ. თ-ი სააპელაციო სასამართლოში ნამდვილად ცხადდებოდა და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მას უარს ეუბნებოდნენ. ამ უკანასკნელის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში მისი მონაწილეობით არც ერთი საქმე არ იხილებოდა, შესაბამისად, მისი იქ მისვლის მიზეზს მხოლოდ ხსენებული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა. წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ინფორმაციის გაცემა იმის თაობაზე, რომ 2013 წლის მანძილზე მას მონაწილეობა არ მიუღია სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული არც ერთი საქმის განხილვაში. მიღებული პასუხის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო მსგავსი სახის აღრიცხვას არ აწარმოებს. არასწორი იქნება იმაზე აპელირება, რომ ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება 2013 წლის 26 დეკემბრამდე წარდგენილი შესაბამისი წერილობითი განცხადება, ამიტომ მ. თ-ი სააპელაციო სასამართლოში ამ დრომდე გამოცხადებულად ვერ ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს. იგივე წარმატებით, წარმომადგენელს შეეძლო 2013 წლის 20 დეკემბრამდე შეეტანა განცხადება და დასაბუთებული გადაწყვეტილება მაინც ვერ მიეღო, რადგან იგი მზად არ იყო. სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარების პირობებში, მხარეს კანონით დადგენილი 21-დღიანი ვადა უმცირდება, რაც ზღუდავს მის კანონიერ უფლებებს;

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ შპს „კომპანია ა-ის“ დირექტორი სააპელაციო სასამართლოს არც ერთ სხდომას, მათ შორის, არც სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას, არ ესწრებოდა. მინდობილობის საფუძველზე, კომპანიის უფლებების დაცვა უნდა ეწარმოებინა მის წარმომადგენელს – მ. თ-ს. 2014 წლის 6 მაისს, შპს „კომპანია ა-ის“ დირექტორისათვის ცნობილი გახდა, რომ მ. თ-ს 2013 წლის 7 ივნისიდან შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილება. ამის შესახებ, წარმომადგენელმა დირექტორს ფაქტის გაგებისთანავე თავად შეატყობინა. იმავე დღეს, მ. თ-მა განცხადებით მიმართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ და მოითხოვა წევრობის აღდგენა. 2014 წლის 7 მაისს,

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელ-მა საბჭომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განმცხადებელს მიაჩნია, რომ სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განჩინების, როგორც თანმდევი შედეგის ბათილად ცნობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები. ერთი მხრივ, მ. თ-ს არ გააჩნდა სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, შპს „კომპანია ა-ის“ დირექტორისათვის ცნობილი არ იყო აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, დასახელებული კომპანიის დირექტორს, როგორც სადავო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლების მქონე პირს, ეს გადაწყვეტილება გადაეცა მ. თ-ის და არა სასამართლოს მიერ – 3 იანვარს. შესაბამისად, მხარეს გადაწყვეტილება დღემდე არ ჩაბარებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე, 369-ე და 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივნისის განჩინებით:

1. შპს „კომპანია ა-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო;

2. შპს „კომპანია ა-ის“ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად;

3. შპს „კომპანია ა-ის“ განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, შპს „კომპანია ა-ის“ განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე-

ობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ. ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე; გ. პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის საფუძვლად განმცხადებელი მიუთითებს შემდეგ ორ გარემოებაზე:

1. შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, კანონით დადგენილ ვადაში ვერ მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, ვინაიდან იგი მზად არ ჰქონდა სასამართლოს;

2. შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელს 2013 წლის 7 ივნისიდან 2014 წლის 7 მაისამდე შეწყვეტილი ჰქონდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო. აქედან გამომდინარე, მართალია, იგი ესწრებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, მაგრამ მას არ ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენლის უფლება, ხოლო ეს უკანასკნელი არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო, ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი

პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მითითებული ნორმა ავალდებულებს მხარეს (მის წარმომადგენელს) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით, კერძოდ, სასამართლო სხდომის ოქმით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2013 წლის 20 ნოემბერს 11:00 საათზე. ამ სხდომას ესწრებოდა შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელი მ. თ-ი, რომელიც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების თაობაზე გაფრთხილებულ იქნა ხელწერილით. საქმის მასალებით დასტურდება ასევე, რომ შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელი ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „კომპანია ა-ი“ (მისი წარმომადგენელი) ვალდებული იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებულიყო სასამართლოში და ჩაებარებინა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. ზემოხსენებული ნორმა გულისხმობს მხარის ვალდებულებას, გამოცხადდეს შესაბამის სასამართლოში, განცხადებით მიმართოს ამ სასამართლოს კანცელარიას და მოითხოვოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა. მართალია, მხარეს შეუძლია სასა-

მართლოს მიმართოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი განცხადებით, მაგრამ, თუ წერილობითი განცხადება სასამართლოსადმი მიმართვის უდავო მტკიცებულებაა, ზეპირი მიმართვის ფაქტის დამტკიცების რისკი მთლიანად მხარეზე გადადის. ასეთ შემთხვევაში, მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უდავოდ უნდა ადასტურებდნენ სასამართლოში მისი გამოცხადებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მოთხოვნის ფაქტს. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მობილური ოპერატორის (მაგთიკომის) ამონაწერები მის მიერ განხორციელებული ზარების თაობაზე არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი კანონით დადგენილ ვადაში გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოების დადასტურება, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საუფძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი. ამ ნორმის მიხედვით, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაში იგულისხმება როგორც უშუალოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმცია, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, შპს „კომპანია ა-სათვის“ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმცია სახეზეა, ვინაიდან განმცხადებელმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელი კანონით დადგენილ ვადაში გამოცხადდა სასამართლოში და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა. ზემოხსენებული ნორმის თანახმად, თუ სახეზეა გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმცია, მაშინ გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „კომპანია ა-მა“ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადას რამდენიმე დღით გადააცილა.

დაუსაბუთებელია ასევე განმცხადებლის მოსაზრება საკასაციო სასამართლოს განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ შპს „კომპანია ა-ის“ წარმომადგენელს 2013 წლის 7 ივნისიდან 2014 წლის 7 მაი-

სამდე შეწყვეტილი ჰქონდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „კომპანია ა-ის“ ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში იცავდა მ. თ-ი შპს „კომპანია ა-ის“ დირექტორის მიერ 2013 წლის 15 თებერვალს გაცემული მინდობილობის საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. თ-ისათვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოტანის თარიღი და იგი ესწრებოდა კიდევ გადაწყვეტილების გამოცხადებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტა არ ათავისუფლებდა მ. თ-ს ზემოხსენებული დავების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან, მათ შორის, იმ ვალდებულებებისგან, რომ მარწმუნებლისათვის ეცნობებინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოტანის თარიღი, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოცხადებულიყო სასამართლოში და ჩაებარებინა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. წარმომადგენლის მიერ ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა მარწმუნებელს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვოს იმ საფუძველით, რომ მისთვის ცნობილი არ იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, წარმომადგენლის ინფორმირება გადაწყვეტილების გამოტანის თარიღის თაობაზე ნიშნავს ასევე მარწმუნებლის (მხარის) ინფორმირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის წარმოების განახლების შესახებ შპს „კომპანია ა-ის“ განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „კომპანია ა-ის“ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილების გათილად ცნობის  
და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის  
განახლების საფუძვლები**

**განჩინება**

№ა-979-ა-5-2014

12 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თეთრინწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აგ-  
ვისტოს გადაწყვეტილებით:

1. ტ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. პ. მ-ს ტ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3000 ლარის გადახდა.  
აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-  
რა პ. მ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინებით პ. მ-ის სააპე-  
ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასა-  
ჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. მ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 10 მარტის განჩინებით პ. მ-ის საკასა-  
ციო საჩივარი დარჩა განუხილველად, დადგენილ ვადაში კასა-  
ტორის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2014 წლის 20 მარტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს  
განცხადებით მომართა პ. მ-ემ. ხარვეზის შევსების მიზნით მოგ-  
ვიანებით შემოტანილ განცხადებაში ავტორმა დააზუსტა, რომ  
იგი ასაჩივრებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამო-  
ქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის განჩინებას მი-  
სი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და  
მოითხოვს საქმის წარმოების განახლებას.

განცხადება მოტივირებულია იმით, რომ კასატორმა გამო-  
ასწორა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი,  
კერძოდ, მან დანიშნულ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი

და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი „საქართველოს ფოსტის“ თეთრინყაროს ფილიალიდან იმავე დღეს გამოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად ამისა, გზავნილი შეცდომით აღმოჩნდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტში. მითითებული გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა შპს „საქართველოს ფოსტის“ კვითრები ნომრით – ... და 2014 წლის 17 თებერვალს სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადახდო დავალება, სალაროს შემოსავლის ორდერი).

მოგვიანებით, განმცხადებელმა უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2014 წლის 29 მაისის №... წერილი. წერილის თანახმად, პ. მ-ის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალება (სასამართლოში განსახილველ საქმეზე 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე), ადრესატის ნაცვლად, 2014 წლის 21 თებერვალს მოხვდა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, პ. მ-ის განცხადების საფუძვლების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთ-

ხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის გახილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის განჩინებით პ. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. მითითებული საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო კასატორის მიერ ხარვეზის შეუვსებლობა, კერძოდ, მისთვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 15 თებერვალს და ამოიწურა ამავე წლის 19 თებერვალს. მითითებულ ვადაში კასატორს ხარვეზი არ შეუვსია, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

განმცხადებელი მოითხოვს ზემოხსენებული განჩინების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას იმ საფუძველით, რომ მან დროულად გამოასწორა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, დადგენილ ვადაში (2014 წლის 17 თებერვალს) გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შპს „საქართველოს ფოსტის“ თეთრიწყაროს ფილიალის მეშვეობით იმავე დღეს გამოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად ამისა, გზავნილი შეცდომით აღმოჩნდა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში. ეს უკანასკნელი გარემოება განმცხადებელმა შეიტყო მას შემდეგ, რაც მას ეცნობა მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

განმცხადებელმა მის მიერ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: 1. შპს „საქართველოს ფოსტის“ ქვითრები ნომრით – ...; 2. 2014 წლის 17 თებერვალს სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადახდო დავალება, სალაროს შემოსავლის ორდერი); 3. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2014 წლის 29 მაისის №... წერილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ კასატორმა პ. მ-ემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ასევე დადგენილ ვადაში გამოაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მისამართზე (ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.32) შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით, მაგრამ ეს საფოსტო გზავნილი შეცდომით მიტანილ

იქნა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საქმის წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეუნიქტით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც პ. მ-ის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ პ. მ-ის საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე და 397-ე მუხლების მოთხოვნებს და იგი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პ. მ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება;

3. წარმოებაში იქნეს მიღებული პ. მ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად;

4. მოწინააღმდეგე მხარეს გადაეგზავნოს საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები და განემარტოს, რომ მას უფლება აქვს ამ განჩინების გადაცემიდან 3 დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი პასუხი საკასაციო საჩივარზე;

5. საკასაციო საჩივრის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის საკითხს საკასაციო სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

<b>1. უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა</b> ადმინისტრაციული განსჯადობა .....	3
<b>2. პროცესის ხარჯები</b> სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის .....	26
<b>3. მესამე პირები</b> საპროცესო უფლებამონაცვლეობა .....	32
<b>4. სასამართლო მტკიცებულებები</b> ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას .....	38
<b>5. სარჩელის უზრუნველყოფა</b> განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ .....	51; 58
<b>6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება</b> სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა .....	63; 66
<b>7. სასამართლო გადაწყვეტილება</b> გადაწყვეტილების განმარტების მართლზომიერება .....	82
<b>8. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....</b>	87; 91; 96
<b>9. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები .....</b>	107
<b>10. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში</b> სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა .....	114; 116
<b>11. საქმის წარმოების განახლება</b> სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლები .....	119; 123; 133; 138; 141; 146; 154